„ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რკით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ.“ (ვაჟა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

825
1984

თავისუფლების ტრიბუნა

საქართველოს ბანთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

რედაქტორ-გამომცემელი: გიორგი წერეთელი

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№42 პარიზი იანვარი *1984* *JANVIER* *PARIS* №42

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ტ რ ი ბ უ ნ ა ს 10 წ ე ლ ი შ ე ს რ უ ლ დ ა.
დ ი დ ე ბ ა მ ა მ უ ლ ს, მ ა რ ა დ ქ ა ლ წ უ ლ ს, ბ ე დ ი ს ა გ ა ნ უ ღ ვ თ ო დ დ ა ჩ ა გ რ უ ლ ს!

შ ი ნ ა ა რ ს ი

.2	საშობაო ქადაგება	დეკანოზი ილია მელია
.3	ახალი - *1984* - წელი	გიორგი წერეთელი
.12	რუსეთის ნდობა არ შეიძლება	დავით ვაშაძე
.15	ს.ს.რ.კ.-ს და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა წარმომადგენლების მანიფესტაცია პარიზში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.	
.16	ქართული დელეგაციის სახელით ვიქტორ ხომერიკის სიტყვა	
.17	„იუნესკოს“ კრიზისი	დავით ვაშაძე
.18	აკაკი ბაქრაძე ეროვნული გრძნობის უკვდავებაზე	ილან ავიშაი
.19	„გახლეჩილი გული“ (გადმობეჭდილი „ცისკარი“-დან)	აკაკი ბაქრაძე
.20	მოულოდნელი განცდა	ვახტანგი საყვარელიძე
.21	„თავისუფლების ტრიბუნის“ ათი წლისთავი	თ. ტ.
.16	სამგლოვიარო განკოფილება	
	თამარ ბერეჟიანის გამოსათხოვარი	ლუბა აბდუშელი
	მოსე იმნაიშვილის გარდაცვალება	კარლო ინასარიძე
	დიკა კედია: მისაბაძი მაგალითი	თ. ტ.
.28	ადამიანები და წიგნები	
	ჟაკ დუეს სიმღერის 35 წლისთავი	ეთერი წერეთელი

****

Edition hors commerce „Thavissouphlebiss Tribouna“ 8,Rue des Marchais 75019 Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა შ ობ ა ო ქ ა დ ა გ ე ბ ა. *1983* წ ე ლ ი.

სახელითა მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა,

იესო ქრისტეს შობის დღესასწაულის მნიშვნელობა მდგომარეობს ღმრთის განკაცების საიდუმლოებაში. ცხადია, რომ დღესასწაულს აქვს მნიშვნელობა, არა მარტო მორწმუნე ქრისტიანისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც, რაზედ მოწმობს საზოგადო ისტორიის სწავლება.

შობის სახარებაში ვკითხულობთ მათეოსთან: „აჰა, ქალწული მიუდგეს და შვეს **ძე**, და უწოდიან სახელი მისი **ემმანუელ**, რომელ არს თარგმანებით **ჩვენთანა ღმერთი.**“ ეს თქმულება გვახსენებს წინასწარმეტყველის ძველ აღთქმაში თქმულ სიტყვას, რაც გვესმოდა დღესასწაულის ღამისთევაზე: „ჩვენთანა ღმერთი, სცანთ წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა ღმერთი.“ ეს მტკიცება ნიშნავს უფალ-ღმრთის მთლიან მიმართვას ადამიანისადმი, მასთან მჭიდრო კავშირს, ნამდვილი ზიარების დადგომას.

იგივე ნათქვამია იოანეს სახარებაში: „ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძე თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რათა ყოველსა რომელსა რწმენეს იგი, არა წარსწყდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო.“

„ჩვენთანა ღმერთი!“ აი, ესაა იმის წინდი, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ ქრისტიანული ჰუმანიზმი. როგორც ყველამ იცის, არსებობს ჰუმანიზმის სხვადასხვა გაგება და მიდგომა. ქრისტიანული ჰუმანიზმის დადასტურებისათვის, მგონია, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა დავარღვიოთ ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული ცილისწამება ქრისტიანობის მიმართ. მას ბრალს დებენ ადამიანთა მეურვეობის უგულებელყოფაში. მაგრამ, ნუთუ არაა გასაკვირველი, რომ ამავე დროს ქრისტიანობის და ყველა რელიგიის მტრები იძულებული არიან მიიღონ საგანგებო ზომები ეკლესიის და მორწმუნე მოქალაქეების დასაშორებლად საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობისაგან?! მივუთითოთ ქრისტიანულ ჰუმანიზმის, უბრალო სიტყვით კაცთმოყვარეობის, რამდენიმე დადებით ასპექტზე. უპირველესად შევნიშნოთ, რომ სწორედ მოწოდება **„კაცთმოყვარე“** არის ყველაზე ხშირი ღვთისა და იესო ქრისტეს ლოცვებსა და გალობებში. მართალია, რომ ეკლესიის ისტორიაში ადგილი ჰქონდა ამისგან დაშორებებს, მაგრამ ესეც საკვირველია, რომ ადამიანურმა ვნებებმა ვერ შეძლეს ქრისტეს სახარების ამ მოთხოვნის გაქარწყლება ქრისტიანულ შეგნებაში. ასეა ამიტომ, რომ იესო ქრისტე აღვივებს მორწმუნეთა გულში სინანულის საიდუმლო გრძნობას. ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი სპეციფიკური მოვლენაა **ს ე ნ დ ო ბ ა**, ესე იგი შეურაცყოფათა მიტევება. საზოგადოდ, წმიდა ეკლესიის არსებობა ხელისუფლების გვერდით, ყველგან მსოფლიოში, იმით არის გამართლებული, რათა მოაგონოს ყველგან და ყოველთვის ამ მოთხოვნის აუცილებლობა.

ჩაგუფიქრდეთ ახლა ქრისტეს შობის საიდუმლოს: უპირველესად, **ქვაბ-ბაგაში დაბადება**, პირუტყვთა შორის, ოჯახის სიღარიბის გამო; „რამეთუ, ამბობს ლუკა მახარებელი, არა იყო მათდა ადგილი სავანესა მას.“ მაშინ წმიდა ოჯახი იძულებული იყო სამშობლოდან გადახვეწილიყო ისე, როგორც აქა მდგომნი და ბევრი ჩვენი მსმენელიც. როგორ არ მოვიხსენო აქ ჩვენი გადასახლებულნი ქრისტესა და საქართველოს სიყვარულის გამო: **მერაბ კოსტავა** და სხვანი. ისინიც იმედის ვარსკვლავთან მოგზაურობენ, მკაცრ გარემოში, მაგრამ ქრისტეს ნათლით გულში.

ერთი რამ კიდევ, ქრისტეს ანდერძის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საკვირველი მტკიცება შეიცავს ბავშვებისადმი ყურადღებას. იესო ქრისტე მიუთითებს ბავშვობას, როგორც ადამიანობის განსაკუთრებულ ზომას: „და მოუწოდა იესო ყრმასა და დაადგინა შორის მათსა და რქვა: ამინ, გეტყვით თქვენ უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა.“ სწორედ ამიტომ ქრისტეს შობა ითვლება ბავშვთა დღესასწაულად. საჩუქრები ბავშვებისადმი არის, როგორც თვით ქრისტესადმი მოგვთა მიერ მიტანილი. როგორც გალობენ ჩვენს ხალხურ აღილოში: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო. ეს, რომ მწყემსებმა გთგეს, მოვიდენ და თაყვანი სცეს, და მოგვებმა თან შესწირეს ოქრო, მური და გუნდრუკი.“ ამ სიმღერით ვუსურვებ ყველას მშობლიურ ქართველობას: **ღმერთმა ყველას გაგითენოსთ მრავალი ახალი წელიწადი! ამინ!**

დეკანოზი **ილია მელია**,
პარიზის წმიდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ხ ა ლ ი – 1984 – წ ე ლ ი

ცის ბორბალმა კიდევ ერთი წრე შეჭრა და ახალზე გადავიარა. იწყება **1984** წელი. **თავისუფლების ტრიბუნას** პატივი აქვს მეთერთმეტეჯერ შეხვდეს წელთა განახლებას და მოგილოცოსთ ის თქვენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო და თანამემამულენო.

ვფიქრობთ კარგი ტრადიციაა, რომ ყოველ ახალ წელს ვაახლებთ ჩვენს ნატვრა-სურვილებს და მიზან-მისწრაფებებს. რათა საიდუმლოებით მოცული მომავალი განვსჭვრიტოთ, საჭიროა სულ ცოტა მაინც გავითვალისწინოთ წარსული, სწრაფად მაინც მოვავლოთ მას თვალი, რომ ჩვენთვის მთავარი ჩავიბეჭდოთ ჩვენს მეხსიერებაში.

გასული წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, ბევრი ძვირფასი თანამემამულე სამუდამოდ გაგვშორდა ამ წუთისოფლიდან, როგორც აქ, გადმოხვეწილობაში, ისე იქ, სამშობლოში. მუხლმოყრით პატივი ვცეთ მათ კეთილ ხსოვნას, საუკუნო იყოს ხსენება მათი! რადგანაც გულნი მათი მამულის სიყვარულით ძგერდა მთელ მათ სიცოცხლეში.

ამავე დროის მონაკვეთში მზის ნათელს ეზიარენ აგრეთვე ბევრი ქართველი დედმამის შვილები, რომლებიც ხვალ წამოიზრდებიან და ზეგ იმ გუშინ მიცვალებულ მამულიშვილთა ადგილს დაიკავებენ შრომისა და ბრძოლის ველებზე; **მაგრამ**, ჩვენდა სავალალოდ, ქართველობა საკმარისად არ მრავლდება. შეიძლება ითქვას გადაუჭარბებლად: ჩვენი რიცხობრივი რაოდენობა, მომატების მაგივრად, სულ თანდათან კლებულობს ამ უკანასკნელ ათწლეულში და ეს თუ ასე გაგრძელდა, დიდი უბედურებაა განსაკუთრებით ჩვენისთანა მცირერიცხოვან და დაპყრობილ ერისთვის. ამ დიდი ეროვნული სატკივრის შესახებ ჩვენ უკვე სამი წლის წინად ავტეხეთ განგაში. მას შემდეგ სამშობლოდან მიღებულ ცნობებით, მოშუშების მაგივრად ჭრილობა კიდევ უფრო საშიში გამხდარა. იქ გავრცელებული ოფიციალური აზრის მიხედვით, ამ ეროვნული სატკივრის მიზეზი თითქოს არის ახალგაზრდების უპასუხისმგებლობა, ფუქსავატობა, განცხრომა–ფუფუნებაში ცხოვრების მიდრეკილება. შეიძლება მართლაც აკლდეს საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობას იმის შეგნება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერისათვის ჩვენს დემოგრაფიულ ზრდა-მატებას, მაგრამ ესეც ხომ საბჭოთა სკოლისა და საბჭოთა ყოველსმომცველი იდეოლოგიის ბრალია. კრემლის რუს ხაზეინებს რაში ეპიტნავებათ ქართველი ხალხის გამრავლება, პირიქით, ისინი აღბათ ხელს უწყობენ კიდევაც ფარულად ჩვენს დემოგრაფიულ დაკნინებას. კიდევაც მონდომებული რომ იყოს, ამ უაღრესად ცენტრალიზებულ იმპერიას არ ძალუძს დადებითი გავლენა მოახდინოს მასში დამწყდეულ ხალხების სწორ დემოგრაფიულ განვითარებაზე. სასაცილოა ამ მხრით მათ მიერ გატარებული ღონისძიებები: ათ შვილიან დედებს წლის ბოლოს „გმირი დედის“ ორდენებს უგზავნიან. ერთ მათგანს უთქვამს, გულში აღბათ ბევრი ფიქრობდა: „ეს ეეშტი თავის კნეინას ჩამოკიდოს ბრეჟნევმაო (მაშინ ეს უკანასკნელი ცოცხალი იყო). დიახ, დედებს ბრეჟნევ-ანდროპოვის წოდება-ორდენები კი არ აინტერესებთ, არამედ მძიმე სამუშაოებიდან განთავისუფლება, სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა, კეთილმოწყობილი საკმარისფართობიანი ბინები, გათბობითა და აბაზანებით. ფართო მშრომელ მასებს, რომლებიც არიან ჭეშმარიტი შემქმნელნი ერის დოვლათისაც და მომავალი თაობისაც, ეს სიკეთენი არაფერი გაუჩნიათ და ამიტომაც ხშირად უარს ამბობენ მრავალშვილიანობაზე.

ვინმემ შეიძლება შეგვეკითხოს: საბჭოთა კავშირის თურქულ-თათრული მოსახლეობაც ხომ ისეთივე პირობებში ცხოვრობს, როგორც საქართველო, რომელიც წარმატებით მრავლდებაო. დიახ, ეს სრული სიმართლეა და ეს გახლავთ არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიო ფენომენი: მაჰმადიანური მოსახლეობა განსაკუთრებით სწრაფად მრავლდება. მე მგონია ეს აიხსნება იმით, რომ მაჰმადიანური რელიგია გაცილებით უკეთ, ვიდრე ქრისტიანული, უმკლავდება მარქსისტულ-კომუნისტურ იდეოლოგიასაც და ბურჟუაზიულსაც საერთოდ და კერძოდ ცოლ-ქმრობისა და ქალის, როგორც დედისადმი დამოკიდებულების მორალშიც. სწორედ ეს ფენომენი კიდევ უფრო საშიშს ხდის ჩვენს ეროვნულს მომავალს. პირველი მსოფლიო ომის წინ ქართველი ხალხი კიდევ ჯეელა სხვებზე მრავალრიცხოვანი იყო საერთოდ კავკასიაში და კერძოდ ამიერკავკასიაში. დღეისათვის აზერბაიჯანელებმა ბევრად გადაგვაჭარბეს. ამავე პერიოდში ჩვენი მეზობელი თურქეთის მოსახლეობა ათიდან ორმოც მილიონამდე გაიზარდა და სრულიად ნორმალურად ამ საუკუნის ბოლოს სამოც მილიონ მოსახლეს მიაღწევს. ამავე დროს მთელი ქართველობა სამ ნახევარ მილიონსაც ვერ აღწევს და ეს რიცხვი ყოველ წლიურად თანდათან კლებულობს. მარტო ეს ფაქტი საკმარისია ღრმათ ჩავფიქრდეთ და ვიკითხოთ: „ვრა ომერთი

21565

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიწყრება, რომ ქართველ ქალს დედობა და ქართველ დედას მრავალშვილიანობა აღარ ეამაყება?! შორს რომ არ წავიდეთ, თვით ჩვენი დედებისათვის თორმეტი შვილის დედობა იყო სრულიად ჩვეულებრივი და თავმოსაწონი ამბავი. ახლანდელ დედებს ამდენსაც არ ვთხოვთ. მამულის გულისათვის გევედრებით: **იყავით სულ ცოტა ოთხი შვილის დედა!**

—**გასულ წელს** განა მარტო ბუნებრივი სიკვდილით დაგვშორდენ სამუდამოდ ქართველი მამულიშვილები? არა, ბევრი მათგანი მსხვერპლი იყო საბჭოთა პოლიტიკური დევნის. მათ შორის განსაკუთრებული სინანულით უნდა მოვიგონოთ ახალგაზრდა ქალი **ნაზი შამანა-ური,** რომლის ტრაგიკული ბედიც უკვე წინა ნომერში გაცნობეთ. მისი მოწამებრივი სიკვდილი სამუდამო შავ ღაქად დააჩნდება საბჭოთა რეჟიმს, ხოლო ქართულმა თავისუფლების მოძრაობამ მისი სახელი თავის საბრძოლო დროშაზე უნდა წააწეროს.

—**ასევე** საბჭოთა ტირანიის სინდისზეა *18* ნოემბრის ღამით თბილისის აეროდრომზე მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლნი: თბილისის საზოგადოების საუკეთესო ოჯახიშვილები **გია ტაბიძე, გიორგი წერეთელი, მიქაბერიძე,** შემთხვევის ადგილზე დაღუპულები, მძიმედ დაჭრილი **გეგა კობახიძე** და ერთ-ერთი ძმა **ლეკიშვილი.** ეს უდროოდ დაღუპული ახალგაზრდები იმ *6* ვაჟისა და *3* ქალიშვილის ჯგუფს ეკუთვნოდენ, რომლებმაც *18* ნოემბრის ღამით ამაოდ სცადეს სამგზავრო თვითმფრინავის პილოტის იძულება, რათა ფრენის გეზი შეეცვალა და თურქეთის ტერიტორიაზე დაფრენილიყო. პილოტმა მათ მოაჩვენა, რომ ის მათ სურვილს ემორჩილება, სინამდვილეში კი თვითმფრინავი უკან მოიყვანა თბილისის აეროდრომზე. იქ გამოურკვეველ პირობებში (საბჭ. ხელისუფლება არაფერს ამბობს მომხდარ ფაქტზე.) მომხდარ სროლის შედეგად ადგილზედვე გარდაიცვალენ გარდა ზემოდ დასახელებულებისა, თვითმფრინავის ეკიპაჟის სამი წევრი: საქ.—ს მფრინავ-შტურმანთა განყოფილების უფროსის თანაშემწე **ზავენ შარბათიანი,** ბორტმექანიკოსი **ანზორ ჭედია** და ბორტგამყოლი **ვალენტინა ნიკოლაევნა კრუტიკოვა.** დაიღუპენ აგრეთვე თვითმფრინავის სულ ცოტა ორი მგზავრი: **ალუდა სოლომანია** და **პავლე აბოიანი.**

ამ ტრაგედიის მიზეზი უდავოდ საბჭოთა რეჟიმია, რადგანაც ის მის მოქალაქეებს უკრძალავს თავისუფალ მიმოსვლას საბჭოთა კავშირსა და მის გარეშე მყოფ სამყაროს შორის, მაშინ როცა ჰელსინკის ხელშეკრულებით მან სავალდებულოდ გაიხადა აზრებისა და ადამიანების თავისუფალი მისვლა-მოსვლის ხელის შეწყობა. ამის გარდა, ასეთ საშინელ ტრაგედიას ადგილი არ ექნებოდა, რომ თვითმფრინავების ეკიპაჟებს არ ჰქონდეთ ხელისუფალთა იმპერატიული ბრძანება: არამც და არამც არ დაუშვან თვითმფრინავის გატაცება, თუნდაც ამას ეწირებოდეს ასობით ადამიანის სიცოცხლე.

ჩვენი ასეთი პოზიცია არ ნიშნავს თითქოს ვამართლებდეთ, ან ვიწონებდეთ თავისუფლების მაძიებელ ამ ახალგაზრდების მოქმედებას. ისეთ ტირანულ წესწყობილებაში, როგორიც საბჭოთა კავშირშია, ძალადობა გამართლებულია, რადგანაც აქ ძალადობა ძალადობისაგან იცავს თავის კანონიერ უფლებას, მაგრამ ეს ძალადობა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ტირანიის დამცველ ინდივიდების მიმართ და არამც და არამც ბრმად,—მშვიდობიან მოსახლეობის წინააღმდეგ. მემარცხენე თუ მემარჯვენე ტოტალიტარული იდეოლოგიებით თავგამოჭედილი ახალგაზრდები, ხშირად მშვიდობიან მოქალაქეებით გაჭედილ ადგილებში ისვრიან სიკვდილის მთესველ ბომბებს, ანდა უმანკო ბავშვებით და უბრალო მანდილოსნებით სავსე თვითმფრინავები მძევლებად აჰყავთ, რათა მათმა შანტაჟმა უკეთ გასჭრას დემოკრატიული მთავრობების მიმართ, რომლებიც, მომხდარ ამბების თავისუფლად გავრცელების პირობებში, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენას ემორჩილებიან და ტერორისტთა პირობებს ასრულებენ. ასეთი პირობები საბჭოების ქვეყანაში არ არსებობენ და მით უფრო საერთაშორისო ტერორისტების და პირატების მაგალითები ჩვენმა თავისუფლების მებრძოლმა ახალგაზრდებმა არ უნდა გამოიყენონ მეტადრე იმის გამო, რომ ისინი არ ეგუებიან, არ ესადაგებიან ქართულ რაინდულ ზნეჩვეულებებს.

ამ ძველი და ახალი წლების მიჯნაზე განსაკუთრებით არ უნდა დავივიწყოთ **ს.უ.კ.**—ს მიერ მკაცრად დასჯილები: ერისა და ადამიანის უფლებების შეგნებული და მამაცი დამცველი, მუსიკოლოგი **მ ერ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა,** ქართული ენისა და ისტორიის დაცვისათვის გიჟათ აღიარებული და ნამდვილ გიჟებთან გამომწყვდეული ექიმი და პედაგოგი, *70* წელს მიტანებული **ნ ი კ ო ლ ო. ზ ს ა მ ხ ა რ ა ძ ე,** სინდისისა და რწმენის თავისუფლებისათვის, მორალური და პოლიტიკური ზნედაცემულების წინააღმდეგ მებრძოლი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი შვილის დედა **ვალენტინა ფაილოძე**, რომელიც ათ წელზე მეტია, რაც მუდმივ დევნა პატიმრობაშია.

—**კმაყოფილებით** უნდა აღვნიშნოთ, რომ გასულ წელში სამშობლოში ადგილი ჰქონდა ახალგაზრდობის მასიურ საპროტესტო გამოსვლებს გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის ზეიმის საწინააღმდეგოდ. მართალია ზოგი მათგანი დააპატიმრეს და შეთითხნილი ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით **3-4** წლის პატიმრობით დასაჯეს, რომელთა შორის არიან: ისტორიკოსები **თამარ ჩხეიძე** და **ზურაბ ცინცაძე**, ტელეხედვის რედაქტორი **ლ. შაკიშვილი**, მუშა-მექანიკოსი **ტარიელ ღვინიაშვილი**, ტაქსის მძღოლი **ზაქარია ლაშქარაშვილი**, სტუდენტები: **პაატა საღირაძე, ირაკლი წერეთელი, მარინა ბაღდავაძე, გია ჭანტურია, ნანა კაკაბაძე, დავით ბერძენიშვილი** და სხვა. მაგრამ, უეკლოდ ჯავილი არავის მოუკრეფია, ჩვენი სიმპათიები მათკენ არიან მიმართული, რამეთუ დღევანდელი საქართველოს ისტორიის საგნები ესენი არიან და არა ის განებივრებული გვამები, რომლებიც კრემლიდან ღებულობენ საპატიო ჩინმენდლებსა და წოდებებს.

ქართული მედიცინა საბრალმდებლო სკამზე

გასული წლის ბოლოს მეტად საკვირველ საჯარო გალაშქრებებს ჰქონდათ ადგილი საქართველოს მედიცინის წინააღმდეგ. პირველ მანიფესტაციას ადგილი ჰქონდა **19** ნოემბერს თბილისში, სადაც გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ სამეურნეო აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი სერგი პეტროვიჩ ბურენკოვი, მედიცინის აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ნიკოლოზოვიჩ ბლოხინი, ც. კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. მარიამ ივანოვნა ტრუბატინა და სხვა საკავშირო პარტიული და სამედიცინო მაღალი რანგის პირი. ამ მეტად მნიშვნელოვან ფორუმზე, რომელსაც ფართო გახმაურება მისცა მასიური პროპაგანდის საშუალებებმა, ნამდვილი საბრალდებულო სიტყვა წარმოთქვა ედუარდ შევარდნაძემ ქართული მედიცინის წინააღმდეგ. სტატისტიკური მონაცემებით თუ კერძო მაგალითებით, ორატორმა დაასაბუთა, რომ საქართველოში სამედიცინო მომსახურეობა ისე დაბალ საფეხურზე ჩამოვიდა, რომ მან სრულიად დაკარგა მოსახლეობის ნდობაო. შევარდნაძის მიერ ჩამოთვლილი ბრალდებები ორ წყვად შეიძლება დავაჯგუფოდ.

1. საქ. რესპუბლიკას არ გააჩნია საკმარისი სამკურნალო დაწესებულება, არსებული ნაგებობა უმთავრესად ძველი და უვარგისია, საავადმყოფოებს აკლიათ აპარატურა, სამედიცინო ტექნიკა, სამედიცინო დაწესებულებები მხოლოდ **20-25** პროცენტით არიან უზრუნველყოფილი ქიმიური რეაქტივებით, რაც შეუძლებელს ხდის ანალიზების წარმოებას; ადგილი აქვს საწოლების ფონდის დიდ ნაკლულებას; რაიონებსა და სოფლებში ახლად დანიშნულ ექიმებისათვის არ არსებობს საცხოვრებელი ბინები; საავადმყოფოები უზრუნველყოფილი არ არიან ელექტროენერგიით, თბომომარაგებით; ბევრ სამშობიარო სახლებს, არამც თუ ცხელი, არამედ ცივი წყალიც კი არ გააჩნია. საავადმყოფოს სისტემატიურად აკლიათ კვების პროდუქტები, განსაკუთრებით ბოსტნეული, ხილი, წვენები; საავადმყოფოებში და თვით დიდ კლინიკებშიც ადგილი აქვს მედიკამენტებით მოუმარაგებლობას, ხშირად ელემენტარული პრეპარატებითაც კი და ა.შ.

2. ექიმები და საერთოდ მედიცინის მუშაკები ხშირად არ არიან კომპეტენტურნი. ამ მდგომარეობის გამო ხშირია მცდარი დიაგნოზი და ტრაგიკული შედეგი; სამედიცინო სამსახურში ფართოდაა გავრცელებული მექრთამეობა, უკანონო კერძო პრაქტიკა, გამოძალვა, უსულგულო - დაუდევარი - დანაშაულებრივი დამოკიდებულება ავადმყოფების მიმართ, საკვები პროდუქტების დაკლება, მედიკამენტებით იატაკქვეშა ვაჭრობა თვით საავადმყოფოებშიაც კი და ა.შ.

ბრალდებების პირველი წყვა მის ავტორს და მთელ საბჭოთა ხელისუფლებას უფრო ამათრახებს, ვიდრე საქართველოს რიგით მედმუშაკებს, რადგანაც ჯელა ეს ნაკლულოვანება ორგანიზაციული ხასიათისაა და მიგვანიშნებს საბჭოთა ორგანიზაციის სასტიკ დაფექტიურობას. თუ რუსეთში ამ მხრით უკეთესი მდგომარეობაა ეს ნიშნავს იმას, რომ როცა ხელისუფლება ვერ ახერხებს მთელი კავშირის სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფას, ის პირველ რიგში უპირატესობას აძლევს მოსკოვს, ლენინგრადს და საერთოდ რუსეთის დიდ ქალაქებს და მხოლოდ მონარჩენს გადმოუგდებს საქართველოს დაალბათ სხვა დაჩაგრობილ რესპუბლიკებს. სრულიად შესაძლებელია, რომ შევარდნაძის ეს მოხსენება თვითგამათრახების მომასწავებელი იყოს. ამ მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ **15** დეკემბრიდან საქ. სს რესპუბლიკის რიგით მეორე, მაგრამ სინამდვილეში ალბათ მთავარი პასუხისმგებელი რუსი კოლბინი გადაჯანილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ფედერაციაში. კოლბინების და შევარდნაძეების ბედი ჩვენ სრულებითაც არ გვაინტერესებს, მითუმეტეს როცა ვიცით, რომ მათ არც გაუწყრებიან და არც მოეფერებიან ქართველი ხალხის ინტერესების გამო. ჩვენ კი სწორედ ქართველი ხალხის მდგომარეობა, მისი ჯანმრთელობა და მისი სამედიცინო მომსახურეობა გვაწუხებს და გვაფიქრებს. შევარდნაძის მოხსენება გვარწმუნებს, რომ ის საკალალო ყოფილა. სამწუხაროდ, უნდა სიმართლე ითქვას, რომ შევარდნაძის სიტყვებს სხვა წყაროებიც აადასტურებენ.

ედუარდ შევარდნაძის ბრალდების მეორე ნაწილი დაუზოგავად აშიშვლებს მედიცინის მსახურთა მორალურ გახრწნას. როგორც ჩანს დიდ ჰიპოკრატის დევიზი: ავადმყოფისადმი თავდადება, აღარ არის ძირითადი მამოძრავებელი დღევანდელი საქართველოს ექიმებისა, არამედ მომხვეჭელობა. როგორ გავამხილოთ სირცხვილით, მაგრამ მომხვეჭელობას, ქრთამის აღებას და მედიკამენტებით სპეკულაციას მართლაც ადგილი აქვს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთოდ საბჭოთა კავშირის მედიცინის მუშაკთა შორის. მხოლოდ უნდა ვიკითხოთ თუ ვინაა დამნაშავე ამაში? თვით შევარდნაძემ იქვე, ძალიან მორცხვად, მაგრამ მაინც თქვა, რომ ექიმებს ძალიან დაბალი ხელფასი აქვთო. დიახ, ბატონო შევარდნაძე, სწორედ ეგ გახლავთ მთავარი მიზეზი მექრთამეობისა და სპეკულაციისა მედიცინაში და საერთოდ ყველა პროფესიაში. როგორ გნებავთ *120 - 140* მანეთი თვიური ხელფასით ექიმმა ოჯახის მინიმუმი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს?! ფუფუნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ექიმი, რომლის ხელშიაცაა ადამიანის სიცოცხლე, ცდილობს როგორც შეუძლია თავისი შემოსავლის წყარო გაზარდოს, ხოლო ავადმყოფს კი ორმაგად ძვრება ტყავი. ცნობილია: საბჭოთა ხელისუფლებას მსოფლიოში თავი მოაქვს იმით, რომ ჩვენში სამედიცინო მომსახურეობა უფასოა. სინამდვილეში რომ ეს სიცრუეა, ამის დასასაბუთებლად შევარდნაძეზე უფრო ავტორიტეტული პირი სხვა ვინმე შეუძლებელია.

ახლა, დავსვათ კითხვა: ვინ განაგებს ხელფასების პოლიტიკას საბჭოებისას? რა თქმა უნდა, კომპარტია, უფრო სწორად ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო და გენერალური სამდივნო. ბ. შევარდნაძეს, რომელსაც თავი მოაქვს ც.კ. პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობით, სწორედ ამ პარტიულ ინსტანციებში უნდა დაესვა მედიკოსთა ხელფასების მომატების საკითხი. ამის მაგივრად ის წყალს ნაყავს საქ–ს პარტაქტივის კრებაზე და ისედაც სახელგატეხილ საქართ. მედიცინას კიდევ უფრო უტეხავს სახელს.. ისმის კითხვა: რად დასჭირდა შევარდნაძეს და უფრო მეტად მის რუს ხაზეინებს საქ.–ს ჯანმრთელობის სამსახურის ასეთი საჯარო გასამართლება? უკვე გახსენეთ ერთი მოსაზრებათაგანი, რომ ეს შეიძლება მოასწავებდეს საქ.–ს რესპუბლიკის პასუხისმგებელ პირთა წმენდის დაწყების საბაბს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა *1972* წელში, როცა ვასილ მჟავანაძე ედუარდ შევარდნაძით შეცვალეს. ამის გარდა არსებობს მეორე, საქართველოსთვის უფრო დიდი, საშიშროება. ესაა ის, რომ შესაძლებელია რუსები ნიადაგს ამზადებდენ, რათა უშუალოდ დაეპატრონონ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის უწყებას, რომელიც აქამდე ავტონომიურად ითვლება. ამის საბაბს იძლევა იმავე კრებაზე შევარდნაძის განცხადება, რომ უკვე შექმნილია „სპეციალური სამუშაო ჯგუფი“, რომელშიც შედიან ს.ს.რ.კ.–ს მედიცინის და საქ. ს.ს.რესპუბლიკის მედიცინის აკადემიების ვიცე-პრეზიდენტები და საქ. ს.ს.რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრიო.

სხვათა შორის შევარდნაძემ შემდეგი ფაქტიც აღიარა: ერთი ავადმყოფის შენახვა ამჟამად *30 - 40* მანეთი ჯდება დღეში მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებულია *1* მანეთი და *13* კაპიკი. აი, ასეთ ბრიჯ ხელისუფლას თავი მოაქვს სახელმწიფოს მეცნიერულად მართვით. საბჭოთა მოქლაქის მთავარი უბედურება იმაშია, რომ მას აკრძალული აქვს ხელისუფალთა ასეთი ბედოვლათობა ამხილოს. აბა, ვინმეს გაებედნა და *19* ნოემბრის კრებაზე ეთქვა ის ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც ალბათ ყველა იქ დამსწრეს ენის წვერზე ადგა, მაშინვე მას გიჟის პერანგს ჩააცმევდენ და დნეპროპეტროვსკის ავადხსენებულ საგიჟეთში უკრავდენ თავს.

საბჭოთა კავშირში

შეიძლება ითქვას, რომ გასულ წელში არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონებია საბჭოთა კავშირის შინაურ სარბიელზე. ახლად აღზევებული ანდროპოვი თანმიმდევრობით ეუფლებოდა ხელისუფლებას, *16* ივნისს უმაღლესი საბჭოს სესიამ ოფიციალურად აირჩია მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და ამრიგად იგი დაეპატრონა ბრეჟნევის სრულ პოლიტიკურ მემკვიდრეობას. ახალ ცოცხს ხომ ახლებურად უნდა დაეგავა, იური ანდროპოვიც შეეცადა გაციებულ საბჭოთა ეკონომიკისათვის ცეცხლი თავისებურად შეეკეთებია, ე.ი. პოლიციური მეთოდებით: სამუშაოებიდან გამოპარულების აღმოსაჩენად მილიციელები ქუჩებში საბუთებს უშინჯავდენ გამვლელ-გამომვ-

ლელთ. ამ პოლიციურმა „სიახლემ“ საერთო უკმაყოფილება გამოიწვია და ის ჩუმად შეაჩერეს. ანდროპოვმა არა მარტო თავისი კაცი დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად, არამედ დგრუ თვე ამ უწყებაში **პოლიტრუკთა** სისტემა გაავრცელა, მისი იდეოლოგიურად გაჯანსაღების მიზნით. ამის მეტის გაკეთება კი მას აღარ დაცალდა, უეცრად გაქრა თვალთახედვიდან. აგვისტოს თვედან მოყოლებული არის მითქმა-მოთქმა: ზოგი ამტკიცებს დავლა დაეცა, ფეხზე დგომა და სიარული აღარ შეუძლიაო; ზოგის მიხედვით მას პარკისონის სენი სჭირს; ზოგი კი ამბობს ბრეჟნევის ვაჟმა მძიმედ დასჭრაო; ოფიციალურად კი ის გაციებულია, სურდოშეყრილი. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ისაა, რომ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ის არავის არ უნახავს და ამ უზარმაზარ იმპერიას წერილებით მართავს, რაც, უნდა გამოვტყდეთ, არაჩვეულებრივი ამბავია. ერთ დღეს, როცა კრემლის რკინის ფარდა გაიხსნება, შესაძლებელია სენსაციური ამბების წინაშეც აღმოვჩნდეთ.

ამ უცნაურ მდგომარეობას ხელი არ შეუშლია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო დაეძაბა, წყალი ემღვრია მსოფლიოს ყველა კუთხეში, რათა უკედ ეთევზავა, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, **1983** წელი არ ყოფილა ძველებურად ხელდაშვენებული წელიწადი საბჭოთა თევზაობა-ნადირობაში.

მ ო კ ლ ე დ ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე

ევროპაში

1983 წლის დამდეგს თითქმის ყველა წინასწარმეტყველებდა, რომ ის შეიძლება საბედისწერო წელი გამომდგარიყო კაცობრიობისა და განსაკუთრებით ევროპისათვის. ამის საბაბს იძლეოდა ის ფაქტი, რომ წლის ბოლოს უნდა დაწყებულიყო ახალი ტიპის ამერიკული ბირთვული რაკეტების დასავლეთ ევროპაში შემოტანა და დადგმა, რასაც გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ხელისუფლება. შიშს განსაკუთრებით იწვევდა ის გარემოება, რომ, თავის სამხედრო უპირატესობით დამიდებულ, საბჭოთა ხელმძღვანელებს შეიძლებოდა მოსვლოდა ცდუნება: სანამ ამერიკული რაკეტები ოპერატიული იქნებოდნენ, მანამ დაესწროთ და დასავლეთ ევროპის მხედრულად დაკავება ეცადათ. ახლა უცილოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს შიში არ გამართლდა, მაგრამ გვიიარეთ მეტად დაძაბული პერიოდი. საბჭოთა ხელისუფლებამ ნამდვილი რკინის კეტი დაატრიალა მთელ დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით კი მის ყველაზე მგრძნობიერ უბანში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ქუჩებში გამოვიდნენ ე.წ. „პაციფისტები“, რომლებიც გააფთრებით გმობდნენ ამერიკულ რაკეტებს და თითქმის არაფერს ამბობდნენ საბჭოების მხრიდან დასავლეთ ევროპის ქალაქებზე და სოფლებზე დამიზნებულ იგივე თვისებებისა და ხარისხის საბჭოურ ბირთვულ რაკეტებზე.

პარალელურად ამ სადავო საკითხზე შეთანხმების მისაღწევად ჟენევაში მოლაპარაკება სწარმოებდა ამერიკა - ს.ს.რ.კ.–ს წარმომადგენლებს შორის, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ აქედან შეთანხმება არ გამოვიდოდა, რადგანაც საბჭოთა მხარე თავის მიღწეულ უპირატესობას არ დათმობდა, ხოლო თუ **ოტანი** თავის **1979** წლის გადაწყვეტილებას გაუქმებდა ცალმხრივი დათმობით, ეს იქნებოდა აშკარა დაჩოქება მოწინააღმდეგის მუქარის წინაშე. ამრიგად, მიუხედავათ ქუჩის ერთი ნაწილის ბობოქრობისა (რომლის დროსაც, უნდა აღინიშნოს, ადგილი არ ჰქონებია არავითარ რეპრესიებს, არც ერთი მანიფესტანტი პოლიციის მსხვერპლი არ ყოფილა, არავინ არ დაუპატიმრებიათ.) დათქმულ ვადაში დასავლეთ გერმანიაში, ინგლისში და იტალიაში „პერშინგ-2“ და „ფრთოსანი“ რაკეტების პირველი წყება შეტანილი იქნა და დეკემბრის დასაწყისში უკვე ოპერატიული იყო. ამ უაღრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილების განხორციელებაში ხასიათის დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს ამერიკის პრეზიდენტ რ. რეიგანთან ერთად, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ქ. მ. ტეტჩერმა.

საჭიროა ოდნავ მაინც შევჩერდეთ ამ მეტად გახმიანებულ საკითხზე. როგორც ცნობილია, **1979** წლის ბოლოს „ოტანის“ თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეუდგეს ახალი, გაუმჯობესებული ტიპის საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების ფაბრიკაციას, პარალელურად კი აწარმოოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მთავრობასთან, იმ მიზნით, რომ თუ შეთანხმება მოხდა და საბჭოებმა შეწყვიტეს მათ მიერ უკვე დაწყებული „სს-**20**“ ტიპის რაკეტების დადგმა დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ, მაშინ ოტანიც ხელს აიღებდა ამ მისი ექვივალენტური ბირთვული რაკეტების დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განლაგებაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ამერიკული რაკეტების განლაგება დასავლეთ ევროპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დაიწყებოდა *1983* წლის ნოემბერში და უნდა დამთავრდეს *1988* წელში. ამ დადგენილების ინიციატივა ეკუთვნის **ოტანის** დასავლეთ ევროპელ მოკავშირეებს და განსაკუთრებით **დასავლეთ** გერმანიის მაშინდელ კანცლერს, სოციალისტ ჰელმუტ შმიდტს, რომელიც ამჟამად პარტიზანულ მოსაზრებებით პაციფისტების პოზიციებამდე ჩამოქვეითდა. **ოტანის** *1979* წლის დადგენილება საჭირო გახდა იმის შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ე.წ. **დეტანტის** პოლიტიკის საფარქვეშ საბჭოთა კავშირმა მიაღწია შეიარაღების არაჩვეულებრივად მაღალ დონეს, როგორც კლასიკური, ისე უახლესი ბირთვული შეიარაღების სახეობებში და თუ ამას ბოლო არ მოეღებოდა, მომაკვდინებელი საფრთხე ექმნებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. რაც არ უნდა დაჯდომოდა, დასავლეთს უნდა უვნებელეყო კრემლის ასეთი საფრთხე.

კრემლმა თავიდანვე შეურიგებელი ხაზი აიღო ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მისი პროპაგანდა ყველა ტონზე ირწმუნებოდა და ირწმუნება თითქოს ამერიკული **პერშინგები** და **ფრთოსანი** რაკეტები იყო ომის დაწყების, ომის გაჩაღების საშუალება და მათი დასავლეთ ევროპაში განლაგება თითქოს მომასწავებელი იყოს ამერიკის შ. შტატების და **ოტანის** გადაწყვეტილებისა, პირველებმა დაიწყონ ბირთვული ომი კომუნისტური ბლოკის წინააღმდეგ. ამ ლოგიკით, მაშინ საბჭოთა მთავრობაც იძულებული იქნება ბირთვული იარაღით გასცეს პასუხი და ამრიგად კაცობრიობას ამერიკა-ოტანის ავანტიურიზმის გამო ბირთვული ომით განადგურების საფრთხე ექმნებაო.

საბჭოების ამ ვერსიის გაქარწყლება ძნელი არ ჯრის, ჯერ იმით, რომ პირველი იმათმა დაიწყეს იმავე ტიპის „**სს-20**" რაკეტების გამოყენება, პერშინგები და ფრთოსანი რაკეტები მხოლოდ მათი პასუხია. მეორეც, როგორც ყველა არტილერია, ეს ახალი იარაღიც მართალია შეიძლება გამოყენებული იქნეს ომის დაწყების წინ მტრის სამხედრო ობიექტების გასანადგურებლად, მაგრამ იმისათვის რომ ომი მოიგოს, ოტანს უნდა გააჩნდეს მტერზე მეტი კლასიკური შემტევი იარაღი: ტრანსპორტი, ტანკები, ავიაცია. კარგად ცნობილია, რომ ამ მხრით ვარშავის ბლოკის შეიარაღებული ძალები სულ ცოტა ორჯერ სჭარბობს ოტანისას. ეს ძალიან კარგად იციან კრემლის მსოფლიო ომის სტრატეგებმა, მაგრამ სიმართლეს ისინი არ ლაპარაკობენ. მათი მუცლის გვრემა შემდეგშია: წინად დასავლეთ გერმანიაში დაახლოებით *7.000* ბირთვული რაკეტა იდგა, რომელთაც ევალებოდათ კომუნისტური ბლოკის ჯარების შეკავება. მათი მოქმედების რადიუსი იყო *150 -750* კილომეტრი, მაშასადამე ისინი რუსეთის სატელიტ ქვეყნების წინააღმდეგ იყენენ მიმართულნი სინამდვილეში. ამავე დროს მათ არ ახასიათებთ მიზნის დიდი სიზუსტე, ამიტომ ისინი უფრო მშვიდობიან მოსახლეობის საწინააღმდეგო იარაღია, ვიდრე სამხედრო ობიექტებისა. ასეთ პირობებში რუს სამხედრო სარდლობას შეეძლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაეწირა, თუ მათი სამშობლო რუსეთი მოსპობას გადურჩებოდა.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება „პერშინგ-*2*"-ს და ფრთოსან რაკეტების შემოტანით. მათი მიზანში მორტყმის სიზუსტე *50* მეტრზე ნაკლებია. პერშინგ-*2* უწევს ორი ათას კილომეტრზე, ხოლო ფრთოსანი რაკეტები *–3.000* კილომეტრზე და, რაც მნიშვნელოვანია, ჯერ-ჯერობით მათ წინააღმდეგ არ არსებობს თავდაცვის საშუალება. დასავლეთ ევროპაში დადგმულ ამ რაკეტებს შეუძლიათ ხუთი წუთის განმავლობაში ააფეთქონ თვით „მატუშკა როსიას" მთელ ევროპულ ნაწილში არსებული ყველა სამხედრო ობიექტი. ვამბობთ: ყველა სამხედრო ობიექტი, რადგანაც მათი თვისებები გამორიცხავენ ბრმად მშვიდობიან მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებას.

როგორც ზევით უკვე ვთქვით, მიუხედავათ კრემლის გააფთრებული წინააღმდეგობისა, რომელიც კომუნისტური პარტიების და სხვა მათი თანამზრახველების საშუალებით ბირთვულ ომის აპოკალიპსით შიშს უნერგავდა ქუჩას და მას დემოკრატიულ მთავრობებს უსვევდა, ოტანის სახელმწიფოებმა მაინც დაიწყეს თავიანთი პროგრამის განხორციელება. მაგალითად **პერშინგ-*2***-ს პირველი ორი ბატარია უკვე მზად იყო *7* დეკემბრისათვის მუტლაგენში ქ. შტუტგარტის მახლობლად. მათ უკვე შეუძლიათ ხუთ წუთში გაანადგურონ რუსეთის ევროპულ ნაწილში მყოფი მთავარი სამხედრო შტაბები. თებერვლის ბოლომდე იგივე შტუტგარტის რაიონში მოეწყობა კიდევ ორი ასეთი ბატარეა. სულ დასავლეთ გერმანიაში განზრახულია *108* „პერშინგ-*2*"-ს დადგმა, ხოლო ინგლისში, ბელგიაში, ჰოლანდიაში და სიცილიაში კი *–464* ფრთოსანი რაკეტის.

ოტანის პაქტის სტრატეგები იმედოვნებენ, რომ საბჭოთა მხარემ შეიძლება უფრო მეტი გონიერება გამოიჩინოს და შეთანხმებაზე წავიდეს მას შემდეგ, რაც **ოტანი** ამ ახალი იარაღის დადგმას შეუდგება, თუ არადა მათი ვარაუდით ამ იარაღით შესაძლებელი იქნება ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფა ამ საუკუნის ბოლომდე. მართლაც ამ ახალი ბირთვული იარაღით კრემლის დიქტატორები, რომლებიც მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობენ, იმ მოჩხუბარს ჰგვა-

ნან, რომელსაც გატენილი თოფის ლულა აქვს გულზე მიბჯენილი. გაინძრევა თუ არა, თოფიც დაიქუხებს და გულს შეუნგრევს. ასეთია „პერშინგ-2"-ს და ფრთოსანი რაკეტების დანიშნულებაც.

ევროპაში, ახალი ბირთვული რაკეტების თაობაზე, საბჭოთა პროპაგანდამ და დიპლომატიამ ძალიან შორს შესტოპეს. სინამდვილეში მათ ხელი ვერ შეუშალეს ვერც ამ იარაღის დადგმას და ვერც ბირთვული ომის აპოკალიპსის მუქარა განახორციელეს. ამის გამო საბჭოთა დიპლომატია ისე მოიქცა, როგორც ის ბავშვი, რომელიც მურაბის ქურდობაში წაისწრეს და ყურები აუწიეს. კრემლის წარმომადგენლებმა ჟენევის და ვენის კონფერენციები კარების გაჯახუნებით მიატოვეს, მაგრამ ქ. სტოკჰოლმში იძულებული არიან იგივე განიარაღების საკითხებზე ითათბირონ. უდავოა, *1983* წელი ევროპაში საბჭოთა ხელისუფლების წარუმატებლობით დამთავრდა.

სამხრეთ კორეის თვითმფრინავის დამსხვრევა

გასულ წელში ადგილი ჰქონდა სხვა საკაცობრიო მშვიდობისათვის საშიშ შემთხვევებს. ასეთი იყო მაგალითად საბჭოთა ავიაციის მიერ სამხრეთ კორეის სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდება. ამ ტრაგიკულ ინციდენტს ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთში, კამჩატკა–სახალინის საზღვრებთან *31* დეკემბრის ღამით, სადაც უგზო-უკვლოდ დაიღუპა *269* მგზავრი, მათ შორის იყო *60* ამერიკელი და იაპონელი მოქალაქე. თვითმფრინავის დაკარგვის გამოცხადებიდან თითქმის ერთი კვირის განმავლობაში საბჭოთა კავშირი მაღავდა მომხდარი ბოროტების ფაქტს. *6* სექტემბერს კი უტიფრად გამოაცხადა, რომ საბჭოთა გამანადგურებელმა ის ააფეთქა, რადგანაც სამხრეთ კორეის თვითმფრინავი ჯაშუშობას ეწეოდა საბჭოთა ტერიტორიაზე, მას ნიშანი მისცეს უახლოეს საბჭოთა აეროდრომზე დაფრენის, მაგრამ ის არ დაემორჩილა და გაქცევა სცადაო. ამ ვერსიის სიყალბე აშკარა იყო. ნეიტრალურმა საერთაშორისო შემოწმებამ ცხადყო, რომ კორეის თვითმფრინავი შესაძლებელია მართლაც გადაცდა საბჭოთა საზღვარს ნავიგაციის მოწყობილების მოშლის შედეგად და ის საბჭოთა გამანადგურებელმა ავიაციამ მაშინვე, გაფრთხილების გარეშე დაამსხვრიაო.

სამგზავრო თვითმფრინავის და მასში მყოფი ამდენი უდანაშაულო ადამიანის ასეთმა გულგრილად განადგურებამ უაღრესად აღაშფოთა მსოფლიო საზოგადოება. იგი სულ ცოტა ბოდიშის მოხდას მაინც მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან, მისი ასეთი კრიმინალური აქტის გამო, მაგრამ ამაოდ. ისევ პრეზიდენტ რეიგანის სიმშვიდემ და ზომიერებამ შეანელა უაღრესად დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა. ორი კვირის საჰაერო ბოიკოტის გამოცხადებით თითქოს დავიწყებას მიეცა ეს ტრაგიკული საერთაშორისო ინციდენტი, მაგრამ სინამდვილეში ამ ველურობით გამოწვეული ჭრილობა ადვილად არ მოუშუშდება ცივილიზებულ მსოფლიოს, ხოლო რუსების და ამერიკელების ურთიერთობას ის დიდხანს დააჩნდება დაღად.

ლიბანის ფრონტი

1982 წლის ზაფხულში, როცა ისრაელის ჯარებმა პალესტინელი ტერორისტები ქ. ბეირუთიდან გააძევეს და იქ არსებული სამხედრო ბაზა დაშალეს, მაშინ იქ არსებული საბჭოთა ბაზაც მოშლული იქნა. მას შემდეგ რუსები გამუდმებით ცდილობენ როგორმე უკან დაბრუნდენ და ამისთვის არავითარ მეთოდს არ თაკილობენ. ისრაელის დასაპირისპირებლად მათ არჩევეულებრივად შეაიარაღეს პატარა სირია, რომლის პრეზიდენტი ასადი ოცნებობს დიდი სირიის იმპერიის შექმნაზე. ამავე დროს ლიბანში აქეზებენ რელიგიურ და ეთნიურ ანტაგონიზმს და არც ტერორიზმის მიზნით მათ გამოყენებას თაკილობენ.

ლიბანის მთავრობის თხოვნით ბეირუთში იმყოფება ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის და ინგლისის სამხედრო ნაწილები, რომელთაც ევალებათ სამოქალაქო-ეთნიურ-რელიგიური ომის ხელის შეშლა და როგორმე მშვიდობიანობის დამყარება ერთიან და დამოუკიდებელ ლიბანის პირობებში. აი, ამას ყოველმხრივ უშლიდა ხელს საბჭოთა შეთქმულება.

23 ოქტომბერს გამთენიას დინამიტით დატვირთული მანქანები იქნა მიშვებული ტერორისტების მიერ ამერიკის და საფრანგეთის ჯარების სადგომ ბინებზე, რომელთა აფეთქებებმაც ნაცარტუტად აქციეს შენობები, ხოლო ნანგრევებში დაიღუპნენ *240* ამერიკელი და *58* ფრანგი ჯარისკაცი. ერთი კვირის თავზე იგივე საშინელება განმეორდა სამხრეთ ლიბანში ისრაელის ჯარების შტაბ-ბინაზე. დღევანდელი ლიბანის პირობებში ძნელია შეუცდომლად ამ ტერორისტული აქტების პასუხისმგებელთა დადგენა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ტერორისტები სირიის ზონიდან მოდიან და სირიელების უკან კი საბჭოელები დგანან. ამრიგად გამარჯვების სასწორი ამ ქვეყანაში მერყევი იყო. თუ ამერიკა და საფრანგეთი ერთსულოვანი დარჩება, მაშინ საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა გეგმებს, რომ ახლოაღმოსავლეთის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი–ლიბანი თავის გავლენის სფეროში მოაქციოს, უეჭველი მარცხი მოელის.

გრენადა

თითქოს ეს ბეირუთის სისხლიანი ტერორის პასუხი იყო, *26* ოქტომბერს გრენადის კუნძულზე გადასხდენ და ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ამერიკის შ.შ.–ს სამხედრო ნაწილებმა. გრენადა კარაიბის ზღვის ერთ-ერთი პატარა კუნძულია *334* კვ. კილომეტრი ტერიტორიით და დაახლოებით *110.000* მცხოვრებით, რომელთა *85%* შავკანიანებია. იგი დიდი ბრიტანეთის იმპერიას ეკუთვნოდა და დამოუკიდებლობა მიიღო *1974* წ. *1979* წელში, გადატრიალების გზით, ძალაუფლებ ხელში ჩაიგდო მარქსისტულმა პარტიამ, რომელსაც **მორის ბიშოპი** მეთაურობდა. მაშ რაღა მარქსისტები იქნებოდენ, რომ სხვა პარტიები არ აეკრძალათ და მოწინააღმდეგეები ფიზიკურად ან მოესპოთ ან ციხეებში არ გამომეწყვიდათ?! გრენადის რევოლუციას ეხმარებოდენ და ამაგრებდენ ყველა კომუნისტური ქვეყნები, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირი და კომუნისტური კუბა. გაფაციცებით აგებდენ საერთაშორისო ხასიათის აეროდრომს, რათა კუნძული ციხე-სიმაგრედ გადაექციათ ცენტრალური ამერიკის გასაბჭოების მიზნით. ამ მოტივით ათასზე მეტი კუბელი „მუშა“ იმყოფებოდა ამ პატარა კუნძულზე. ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა გრენადის სტალინური გასაბჭოება. თავდაპირველად კლასიური მტრების ლიკვიდაციას შეუდგენ, შემდეგ კი რევოლუციონერები ერთმანეთსაც დაერიენ: უფრო რადიკალებმა შედარებით ზომიერები ამოჟლეტეს. მოკლეს თვით მათი ისტორიული ბელადი მორის ბიშოპი და მისი ერთგული ოთხი მინისტრი, მათ შორის ბიშოპის ცოლი თუ მეგობარი ქალი, რომელიც ფეხმძიმედ იყო. სწორედ ეს მომენტი აირჩიეს ამერიკელებმა, რათა პატარა კუნძულზე წესრიგი და თავისუფლება აღედგინათ. როგორც პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, ამერიკის მთავრობა იმასაც შიშობდა, რომ გრენადის ტირანებს შეეძლოთ ხომეინის ირანის მსგავსად მძევლად აეყვანათ კუნძულზე მყოფი ამერიკელი მოქალაქეები, გამსაკუთრებით კი სტუდენტები, რომლებიც იქ იმყოფებოდენ და მათი სიკვდილის შიშით შანტაჟის ქვეშ მოექცათ ამერიკის მთავრობა.

ჩვენ გვგონია, რომ ასეთ პირობებში ამერიკის მთავრობის მოქმედება სწორი იყო და ეს მით უმეტეს, რომ მისი მიზანი ამ ქვეყნის დაპყრობა კი არ იყო, არამედ გრენადის ხალხისთვის წართმეული თავისუფლების დაბრუნება. ეს კეთილშობილი მისია ამერიკის ჯარებმა კიდევაც დამტკიცეს, რადგანაც რეკორდულ ვადაში (ერთ თვე ნახევარში) მათ გრენადა დასტოვეს. კუნძულზე შექმნილია დროებითი ადგილობრივი მთავრობა, რომელმაც ექვს თვეში უნდა მოაწყოს დემოკრატიული საწარმომადგენლო არჩევნები. ყველაფერი ეს გაკეთდა ისე, რომ, მიუხედავათ კუბელი „მუშა-მეომრების“ გააფთრებული წინააღმდეგობისა, ერთი ათეული მსხვერპლიც კი არ ყოფილა ორივე მხრით. თუ ამის მსგავს რამეს გააკეთებს კრემლის მთავრობა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, ავღანეთიდან დაწყებული, მაშინ ჩვენ მას პირველი მივესალმებით.

ზოგი ფიქრობს: პატარა გრენადის განთავისუფლება ბდღვნად არ ღირდაო, ეს მართალი არ არის. ჯერ ერთი თავის დროზე ჩატარებულმა ოპერაციამ ძალიან იოლად ჩაიარა, რომელიც გაცილებით ძვირი დაჯდებოდა დაგვიანების შემთხვევაში. მეორეც, პატარა გრენადის კაპანიამ თავზარი დასცა კომუნისტურ დიქტატურის ძალებს მთელს ცენტრალურ ამერიკაში. ფიდელ კასტრო უკვე მათ აფრთხილებს, რომ ის უძლურია მათ საჭიროების შემთხვევაში რაიმე დახმარება აღმოუჩინოს ამერიკის წინააღმდეგ, ხოლო ნიკარაგუელმა სანდინისტებმა მას შემდეგ მორიგების წინადადებები გააზიარეს. ცხადია: გრენადას განთავისუფლების შემდეგ ცენტრალურ ამერიკის ქვეყნებში საბჭოთა ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა.

საბჭოთა რეჟიმის გავლენა ასევე შესუსტდა აფრიკაში. მიუხედავათ კოლონელ კადაფის ენერგიული დახმარებისა, კრემლი ვერ ახერხებს თავის გფლენის სფეროში მოაქციოს ჩადის და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკები, ხელიდან გამოეცალა გინე, სომალი, სუდანი და ეგვიპტე, ხელიდან ეცლება ანგოლა და მოზამბიკა, რომლებიც მას ასე ესაჭიროება სამხრეთ აფრიკის კავშირის გასასაბჭოებლად.

ეჭვი აღარ შეიძლება, რომ საბჭოთა სამხედრო შეჭრამ ავღანეთში მარცხი განიცადა. ქვეყნის ოკუპაციის ოთხი წლის თავზე ავღანეთის მთელი ტერიტორიის ¾ ავღანელ რეზისტანტებს უკავიათ, ისინი კარგად არიან შეიარაღებული, აქვთ მაღალი საბრძოლო მორალი და სარგებლობენ მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერითა და სიმპათიებით მაშინ, როცა საბჭოთა ჯარისკაცები ისე არიან დემორალიზებულნი, რომ პარტიზანების ტყვედ ჩავარდნასაც აღარ თაკილობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი პოლონეთი

მოსკოვის გავლენა თანდათან სუსტდება აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებზედაც. ეროვნული კომუნიზმის სენი, რომელიც ასე აშინებს კრემლს, სულ უფრო გადამდები ხდება. ბრეჟნევი წელებზე ფეხს იდგამდა, ახლა ანდროპოვმა ყელაზე საშურ საქმედ გაიხადა კომუნისტურ ჩინეთთან ურთიერთობის მოგვარება. გასულ წელში იყო ნიშნები მათი შეთანხმებისა, მაგრამ წლის ბოლოს და ამ ჯაილ წლის დამდეგს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ ისევ „კაპიტალისტურ“ ამერიკასთან არჩია დაახლოება, საშეცნიერო და სავაჭრო ურთიერთობა, ვიდრე რუს კომუნისტებთან.

კომუნისტური იუგოსლავიაც, ტიტოს სიკვდილის შემდეგაც, მტკიცედ იცავს დამოუკიდებლობას.

მიუხედავად ანდროპოვის შეთავაზებისა, ალბანეთის დიქტატორი ანვერ ხოჯაც უარს ამბობს საბჭოებთან ურთიერთობის განახლებაზე.

ვარშავის ბლოკის სახელმწიფოებიდან რუმინეთმა შეინარჩუნა ყველაზე უფრო სტალინური მართვის მეთოდები. მიუხედავად ამისა, თუ სწორედ ამის წყალობით, შოეჩესკუ სულ ხშირად მიმართავს კრემლის დამოუკიდებელ საერთაშორისო პოლიტიკას და არც ტერიტორიულ მოთხოვნებზე იღებს ხელს.

მაგრამ, კომუნისტური ბლოკის ქვეყნებიდან ყველაზე საინტერესო მაინც პოლონეთია. ერთი შეხედვით, *1982* წ. *13* დეკემბრის, გენერალ იარუზელსკის მეთაურობით საომარი მდგომარეობის გამოცხადებით, რომელსაც სოლიდარობის პროფკავშირების დაშლა მოყვა, თითქოს კრემლმა გაიმარჯვა. სინამდვილე ამ მოჩვენებით გამარჯვებას არ ეთანხმება. მართალია პოლონელმა ხალხმა დროებით დათმო სრული ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა. (არც პოლონელებს და არც დემოკრატიულ მსოფლიოს არ სურდა პოლონეთისათვის მეორე მსოფლიო ომის დაწყება) მაგრამ ამავე დროს რუსები იძულებულნი იყვნენ პოლონელებისათვის გვარიანად დაეთმოთ. იარუზელსკის პოლონეთში რუსებისათვის ჩვეულ რეპრესიებს, ყველ შემთხვევაში დღემდე, ადგილი არ ჰქონებია. პოლონელი ხალხის რევოლუციური პოტენციალი ხელუხლებელია. ეკლესია, ეს ნამდვილი დედაბოძი პოლონეთის სახელმწიფოსი, კიდევ უფრო გაძლიერებულია და ის ნამდვილი შუამავალია პოლონეთის გარიყულ ხელისუფლებასა და ერთსულოვან საზოგადოებას შორის. პროფესორი ელენე კარერ დანკოსი, თავის ახლად გამოცემულ წიგნში ფრანგულ ენაზე, ჭეშმარიტად ბრძანებს: „უკანასკნელ ორ ათეულ წელში პოლონეთში ადგილი ჰქონდა ოთხ კრიზისს: *1968, 1970, 1975 -1976, 1980* წლებში, ოთხივეჯერ პოლონეთის ხელისუფლება მთლიანად შეცვლილ იქნა, ოთხივეჯერ ქიშში მოექცა საბჭოთა ხელისუფლებაო.“

პოლონეთის ეს პერმანენტური რევოლუცია ცხადყოფს, რომ ძირითადი საკითხი–ხელისუფლება მუდამ მოუგვარებელია. პოლონეთის საზოგადოება ერთ მხარეზეა და მისი ხელისუფლება კი მის საწინააღმდეგო მხარეზე. უკანასკნელი: *1980 -81* წლების პოლონეთის რევოლუცია იმით განსხვავდება მის წინამორბედებისაგან, რომ წინანდელ კრიზისების დროს მხოლოდ ხელმძღვანელობა იცვლებოდა, ხოლო კომუნისტური პარტია, როგორც ერთადერთი ხელისუფლების წყარო, უცვლელად რჩებოდა მაშინ, როცა ამ უკანასკნელი კრიზისის დროს პარტიაც ხელისუფლებასთან ერთად დაიშალა და სრულიად მშვიდობიან პირობებში, ყველგვარი ძალმომრეობის გარეშე სოლიდარობის ბანაკში აღმოჩნდა. მითი კომუნისტური პარტიის უცდომელობაზე და დაუმარცხებლობაზე საპნის ბუშტივით გაქარწყლდა. კრემლის ბატონების პოლიტიკური მანევრები ამით მეტად შეზღუდული აღმოჩნდა. უხეში სამხედრო ინტერვენციის გარდა, გზა, რომელიც კრემლმა აირჩია: პოლონელი მხედრების საშუალებით სახელმწიფო გადატრიალება, ჩვენი ფიქრით ერთად ერთი იყო. რუსებმა დიდი ეშმაკობა გამოიჩინეს, ამ ერთადერთ გზას მტკიცედ დაადგენ და თავისებურ „ნორმალიზაციას“ მიაღწიეს, მხოლოდ გარკვეული დროის მანძილზე ეს მათ ძვირი უნდა დაუჯდეთ, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, პოლონეთის ხალხის ბრძოლისუნარიანობა ხელუხლებელია, ის მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდის და პოლონეთისთანა გამორკვეული ერის ბრძოლა ემანსიპაციისათვის დიდხანს შუა გზაზე არ ჩერდება.

დასკვნა

ერთი სიტყვით, მსოფლიოს ყველა კუთხეში აშკარა თუ ფარული ბრძოლა იყო გაჩაღებული კომუნისტურ და დემოკრატიულ ძალებს შორის. ეს არცაა ახალი და გასაკვირველი, რადგანაც ბავშმაც კი იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიზანია მსოფლიოში კომუნისტური ძალების გაბატონება და მათ ამ გადაწყეტილების განხორციელებაში წინააღმდეგობას უწევს ძირითადად

დემოკრატიული სახელმწიფოები. გასულ წელში ამ ბრძოლაში კომუნისტურ ძალებს არსად წარმატება არ ჰქონებიათ, ისინი ან ადგილზე იტკეპნებოდენ, ან არადა უკან იხევდენ. იმედი ვიქონიოთ, რომ წელში, რომელიც ფეხქვეშ გვეფინება, იგი გადაიქცევა დამარცხებულთა ბოლო ლტოლვად. ვიეთნი იტყვიან: მერედა რაო? მერედა ის, რომ ისტორიის გაკვეთილების მიხედვით, ტირანული რეჟიმები თუ სულ არ იმარჯვებენ საგარეო დაპყრობით ომებში, შიგნით სასიკვდილე საფრთხე უჩნდებათ, ხოლო თუ გარედ დამარცხდენ, მაშინ შიგნით უეჭველად ემხობიან. ეს კანონზომიერება ზუსტად გატარდა თვითმპყრობელურ რუსეთისათვის, იგივე კანონზომიერება არ ასცდება არც საბჭოთა რუსეთს.

გიორგი წერეთელი

*** *** *** ***

რუსეთის ნდობა არ შეიძლება
(პოლიტიკური ასპექტი)

კრემლის პატრონის ცვლილებისას თავისუფალ მსოფლიოში იმედები იღვიძებენ. ასე იყო ხრუშჩოვის დროს სტალინის შემდეგ, ბრეჟნევის მიერ ხრუშჩოვის შეცვლისას, იგივე მეორდება ანდროპოვის მოსვლისას.

დასავლეთში გავრცელებული აზრი სტალინზე, რომელიც ჯელა სისაძაგლეს მას აწერს, დღესაც უცვლელია, მაგრამ ხომ ლენინის ბრძანებით დაიწყო პატარა ერების დაპყრობა და, სტალინს ამოფარებულმა, ხომ იგივე ლენინმა მიუსია წითელი ჯარები ჩრდილო და ამიერ კავკასიის ერებს, მათ შორის საქართველოს, რომელსაც, მიუხედავათ ცხრა თვის წინ დადებული სამეგობრო ხელშეკრულებისა, ომის გამოუცხადებლად ყოველმხრივ დივიზიები შემოუსია.

რუსების იმპერიალისტურ ბუნებას ქართველებზე უკეთესად ვერავინ იცნობს: გეორგიევსკის ტრაქტატად წოდებულ ხელშეკრულებაში (*1783* წ.) რუსეთის მეფე, მფარველობაში აყვანილ საქართველოს, მტრისგან დაცვას რომ ჰპირდებოდა, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის (*1795* წ.) მოსაგერიებლად ერთი ჯარისკაციც არ მოაშველა და, პირიქით, ამ ომით დასუსტებულ საქართველოს, ანექსია მოუხდინა (*1801* წ.) და ქართველების გარუსებას მიჰყო ხელი. რუსეთის მეფეს კერენსკის დროებითი მთავრობა ცვლის. ქართველი ხალხის იმედები არც მან გაამართლა. ქართველებს მან თბილისში უნივერსიტეტის დაარსების უფლებაც კი არ მისცა, თუნდაც რუსულ ენაზე. ხოლო ოქტომბრის გადატრიალებით, ლენინის ბოლშევიკური ხელისუფლება ხომ წმინდა რუსულ შოვინისტურ გზას დაადგა, აშკარა დიდმპყრობელური საგარეო პოლიტიკური კურსი აიღო, სოციალისტური რევოლუციის დოგმებზე დაფუძნებული.

თუ დასავლეთს ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში შეიარაღების შეზღუდვა, ანდა სრული განიარაღება თვითმიზნად ესახებოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ განიარაღების საერთაშორისო თათბირები და დაძაბულობის შენელების პოლიტიკა საკუთარ სამხედრო პოტენციალის უსაშველო ზრდისა და ექსპანსიის სამსახურში ჩააყენა. ბოროტად გამოიყენა ხალხთა ნატვრა განიარაღებისა და მშვიდობისათვის, რათა ფარულად გაეზარდა, როგორც კონვენციური, ისე ქიმიურ- ბიოლოგიური და ბირთვული საომარი იარაღების რაოდენობა და ხარისხი.

ლენინმა თავის მოწაფეებს გამომუშავებული გეგმები დაუტოვა განსახორციელებლად: „კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა შეუძლებლად ხდის სოციალისტური რევოლუციის ერთდროულ გამარჯვებას ყველა ქვეყანაში, ამიტომ ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შემდეგ პროლეტარიატი უნდა ზრუნავდეს საკუთარი შეიარაღებული ძალების ინტერვენციით დანარჩენი ქვეყნების განთავისუფლებაზე, მათი დაჩაგრული კლასების აჯანყებით. ამ სახის ინტერვენცია და საერთოდ ყოველგვარი ომი სოციალიზმის გამარჯვებისათვის, იქნება სხვადასხვა ხალხთა განთავისუფლება ბურჟუაზიისაგან.“ (**ლენინი**, თხზ. ტომი*23*, გვ.*94*)

ამავე დროს ლენინი წერდა, რომ „კომუნისტებმა უნდა დაამახინჯონ სიმართლე და საჭიროებისამებრ უნდა მიმართონ სიცრუესო“ და ამ ანდერძის შესასრულებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან: სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი და ანდროპოვი, რომლებიც მსოფლიოს დაპყრობის ლენინურ გეგმას ყოველი უკადრისი საშუალებებით და ადამიანის დამამცირებელი მეთოდებით რომ განაგრძობენ, რის შესახებ მრავალ ფაქტებიდან შემდეგის დასახელება სჯერიოდ მიმაჩნია: კრემლის წითელი ჯარები იპყრობენ უკრაინას, ბელორუსიას, თურქესტანის ქვეყნებს, კავკასიის ქვეყნებს, მეორე მსოფლიო ომის წინ იპყრობს ბალტიის სამ ქვეყანას:ლიტვა, ლატვია, ესტონეთს და ჰიტლერის გერმანიასთან ერთად ინაწილებს პოლონეთს; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ,

საბჭოთა მთავრობა უხეშად არღვევს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე დაპირებულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, იტაცებს საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ტერიტორიებს: ჩეხოსლოვაკიის რუთენიას, რუმინეთის ბესარაბიას, პოლონეთის უკრაინელებით და ბელორუსებით დასახლებულ ადგილებს, გერმანიისას და ა. შ. ხოლო თვით აღმოსავლეთ ევროპის უძველეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებსაც დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკებად აცხადებს, მაგრამ, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ არც დემოკრატიული და არც სახალხო, სრულ ბატონყმურ მორჩილებაში იქცევს და ეს მაშინ, როცა მისგან ძალად აღებული კაპიტალისტური ქვეყნები კოლონიალურ მდგომარეობიდან თავისუფლებენ 1½ მილიარდზე მეტ ხალხებს აზია, აფრიკა, ამერიკაში, მათ შორის ბევრი ისეთებიც, რომელთა მოსახლების რიცხვი ნახევარ მილიონსაც არ შეადგენს და, რომელთა საზოგადოებრივი განვითარების დონე გვაროვნულსა და ტომობრივს არ გაშორებია.

პროფ. **სიგონ ლოები, 1948** წელში ჩეხოსლოვაკიის ვაჭრობის მინისტრი, დუბჩეკის დიდი მომხრე, ამჟამად ამერიკაში ერთ-ერთი ცნობილი უნივერსიტეტის პროფესორი, სრულიად სამართლიანად ამბობს: „სტალინის საგარეო პოლიტიკა, დღესაც რომ გრძელდება, სინთეზია ძველი ცარისტული იმპერიალიზმისა და მარქსიზმისაო.“ ლენინი არ მალავდა და უმატებდა: „კარგი კომუნისტი არის კარგი შოვინისტიცო.“ სტალინის „საქმენი საგმირონი“ ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ხრუშჩოვი, მსოფლიოს ლიბერალად რომ გამოჰყავს, სტალინის მიერ შექმნილ გამასწორებელ ბანაკებს თავის მხრივ კიდევ უმატებს, მცირე ერების შორეულ ციმბირში გადასახლებას ინტენსიურად აგრძელებს და უნგრეთის ტრაგედია ხომ თავისი საზიზღრობით ყველაფერს მანამდე მომხდარს აჭარბებს.

ბრეჟნევი თავის „გმირობას“ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობით იწყებს და იქნებ ყველასათვის ცნობილი არ იყოს, რომ იქ ჩატარებული პოლიტიკური წმენდის მსხვერპლი შეიქნა: 2.000 ჟურნალისტი, 600 პროფკავშირების მოხელე, 800 დიპლომატი, 15.000 კომუნალური მოსამსახურე, ასეულობით უმაღლეს სასწავლებლების პროფესორ-პედაგოგები, მოსამართლეები და სხვა.

ბლოკმიუმხრობელ ავღანეთზე ჯარების შესევაც ხომ ბრეჟნევის ბრძანებით მოხდა და ამ სამი წლის ბარბაროსობამ დღემდე ოთხ მილიონ ავღანელს სახლ-კარი დაატოვებია დარჩენილთ კი მაჩრჩობელა გაზებით ხოცავს, ქალიან-ბავშვიანად. აქ ბრეჟნევი, ვფიქრობთ რომ შეცდა, რაც ალბათ მისი ტვინის უწესრიგობით უნდა აიხსნას, რუსეთმა ვერ დააჩოქა ავღანისტანი და ამავე დროს უცხოეთში იდეოლოგიურ მომხრეებს შორის უნდობლობაც დაიმსახურა.

ანდროპოვი, კ.გ.ბ.–ს ყოფილი შეფი, არაა უცნობი თავის სფეროში და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისიც თავის პოლიტიკურ წინაპრების გზას გაჰყვება, რასაც მომავალი დადასტურებს, დღემდე კი მან ერთი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა: ალბანეთს მიმართა კავშირ-ურთიერთობის მოწოდებით, მგრამ ამ უკანასკნელმა თავის პარტიულ ორგანო „ზერი ი პოპულიტ“-ის ფურცლებზე უპასუხა: „ალბანეთს ხრუშჩოვის და ბრეჟნევის დროს არ ჰქონია ს.ს.რ.კ-თანურთიერთობა და ანდროპოვის ბატონობის დროსაც იგივე დარჩებაო, რადგან რევიზიონისტული საბჭოთა რუსეთი აწარმოებს პოლიტიკას, რომლის მიზანია მსოფლიოს დამონება, ხალხთა ჩაგვრა და ექსპლოატაციაო.“ ხომ ირონიაა კომუნისტური წესწყობილების, რომ ის ბონაპარტიზმის თესლს თვითვე ატარებს თავისივე საშოში, განვითარების პროცესში მან ჰიტლერსაც დიდათ გადააჭარბა და რა გასაკვირველია, თუ ამერიკის პრეზიდენტი ერთ-ერთ მორწმუნე აუდიტორიის წინაშე საბჭოთა კავშირს „ბოროტების სათავედ“ აცხადებს.

მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ შეერთებულ შტატებში ცუდათ ეძინათ. საბჭოთა რუსეთი სრულიადაც არ ფიქრობდა თავისუფლებისა და დემოკრატიულ წესრიგის დამყარებაზე. ამის მაგვრად მოსკოვმა კომუნისტური დიქტატურები გამოაცხადა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ალბანეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში; ბერლინი კი შუა გაჰყო და იქ გადაულახავი კედლები აღმართა; მსოფლიო რევოლუციის დაუოკებელი წინ სვლა ევროპიდან ჩინეთზე, კორეაზე და ინდოჩინეთზე გადაიტანა, რამაც ამერიკელებს ძილი დაუფრთხო.

რუსეთი მხოლოდ თავისი გავლენის გარეშე მყოფი ერების დამოუკიდებლობაზე გაჰყვირის; მათ შინაურ საქმეებში ჩარევას ჰუმანიური პრინციპებით ამართლებს, პოლიტიკაში ღრმად ჩაუხედავი მასები შეცდომაში შეყავს, უამრავ თანხას ხარჯავს და აწყობს თავისუფლების-მშვიდობის- სოლიდარობის მიტინგებსა და მანიფესტაციებს და ამ გზით არაფერს ერიდება, რათა კომუნისტური რეჟიმები შექმნას მთელ მსოფლიოში. სადაც თვით არ მიესვლება, ის იყენებს კუბელებს, დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელებს, ან ჩეხოსლოვაკელ ჯარისკაცებს.

თავის მსოფლიო ექსპანსიის პოლიტიკას საბჭოთა ხელისუფლება ოსტატურად ნიღბავს უზარმაზარ მასშტაბით მოწყობილ პროპაგანდით და ხშირ შემთხვევაში თვით დასავლეთის მემარცხენე სოციალისტური ჯგუფების გულუბრყვილო დახმარებითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლებს და მათ მორჩილებაში მყოფ ქვეყნების ხელმძღვანელებს საკუთარი ხალხი თავები ხალხის მსახურად გამოყავთ, საბჭოთა არმიას „მშვიდობის დარაჯად“ ასაღებენ. მათი ბირთვული ბომბებიც იგივე მშვიდობის ინსტრუმენტებად გვეგლინებიან, ხოლო დასავლეთის იგივე იარაღს კაცობრიობის განადგურება-მოსპობა მოაქვს.

დასავლეთის დემოკრატიის ხელმძღვანელთათვის დიდი ხანია, რაც ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მოსკოვი ნაცადი გზით მოქმედობს ამ *66* წლის განმავლობაში. თავის სასარგებლოდ იყენებს სხვა, დემოკრატიულ ერებს შინაურ ოპოზიციურ ძალებს. ამ ქვეყნების არა მარტო საელჩოებია სავსე ჯაშუშებით, არამედ აგრეთვე სამეცნიერო, სავაჭრო, კულტურული თუ სხვა წარმომადგენლობები. როცა საჭიროება მოითხოვს, საერთაშორისო ურთიერთობაში ტერორსაც არ ერიდება მოსკოვი, რომლის მსხვერპლნი კინაღამ გახდნენ: რომის პაპა და ამერიკის პრეზიდენტი რეიგანი.

რუსებს ძალიან უყვართ საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც მათი გამარჯვებით თუ არ მთავრდებიან უსაზღვროდ აჭიანურებენ და ბოლოს ხელს თუ აწერენ, მათ ცხოვრებაში გატარებაზე არ ზრუნავენ. აქ უმთავრესად უნდა მოვიხსენიოთ აღმოსავლეთ დასავლეთს შორის სამხედრო ძალებისა და შეიარაღების შემცირების თაობაზე ვენის მოლაპარაკება, ათი წლის თავზედაც შეთანხმების არავითარი ნიშანი რომ არ ჩანს; ანდა რა შედეგი გამოიღო ქიმიურ-მახრჩობელა გაზების აკრძალვამ, ან *1974* წ. ვლადივოსტოკის ხელშეკრულებამ სტრატეგიული ბირთვული იარაღის შეზღუდვის შესახებ და რამდენი სხვა; უკანასკნელად კი *35* სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, *1975* წ. ჰელსინკში ხელმოწერილი ხელშეკრულება, მათ შორის ლეონიდ ბრეჟნევისა, რომელიც დიდი პათოსით აცხადებს: არც ერთ ერს მუქარა არსაიდან არ უნდა მოელოდეს, ადამიანებს და იდეებს თავისუფალი მოქმედების და მოძრაობის უფლება უნდა ჰქონდეთ და პოლიტიკურ და კულტურულ სხვადასხვაობიდან ერთმანეთს უნდა ამდიდრებდენო, რა მოგვიტანა? საბჭოთა კავშირში ამ ხელშეკრულების არც ერთი დემოკრატიული მუხლი არ განხორციელებულა და ვინც მისთვის იღწვის, მათ დაუყოვნებლივ ფსიქიატრიულ კლინიკებში აწამებენ, ან შორეულ ციმბირში გულაგებში ჰკარგავენ.

ამრიგად, არფიერთარ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და გარიგებებს საბჭოთა ხელისუფლება მისთვის სავალდებულოდ არ ცნობს, იგი მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშს უწევს მოწინააღმდეგის ძალას. ამიტომაცაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სისხლს მღვრელი ბრძოლები და ხშირად ომებიცაა, დასავლეთის ცივილიზაცია, სადაც უზარმაზარი განადგურების პოტენციალია დაგროვილი, დღემდე ომს გადარჩა; ამას ის მხოლოდ ატომური ბომბის წონასწორობას უნდა უმადლოდეს. მხოლოდ ბირთვული იარაღის წონასწორობით და ამერიკული ჯარის კონტიგენტის არსებობით მის ტერიტორიაზე, შეუძლია დასავლეთ ევროპას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მაგრამ ეს ბირთვული წონასწორობა, რომელიც *1977* წ. თვით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ რომ აღიარა, მოსკოვმა დაარღვია თავის სასარგებლოდ. თვით გერმანიის ყოფილი კანცლერი შმიდტი, სხვის მხილებაში დიდ დიპლომატიურ სიფრთხილეს რომ იჩენს, *1981* წელს ბუნდესტაგში კამათის დროს აცხადებს: „ბრეჟნევს *1980* წლის დაპირება არ შეუსრულებია, მაშინ დას. ევროპისკენ მიმართული *80-100*-მდე საშუალო სიშორის რაკეტი *300*-ამდე გაზარდა და დღესაც ყოველ კვირეში ერთ ცალს უმატებსო.“

ახლა ფელას დავიწყებია, რომ ოთხი წლის წინად თვით ფედერაციული გერმანიის მაშინდელმა კანცლერმა შმიდტმა იშუამდგომლა და ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა კარტერმა გადაწყვიტა დამატებითი ბირთვული შეიარაღება. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ წამოწყებული გრანდიოზული ანტინეიტრონული კამპანიის შემდეგ, რასაც დიდი დახმარება გაუწიეს ევროპის სოციალისტებმა, განსაკუთრებით კი ფედერაციულ გერმანიისამ, პრეზიდენტ კარტერს ხელი ააღებინეს ნეიტრონული იარაღის ფაბრიკაციის დადგენილებაზე.

დღეს კი სხვა ატმოსფეროა, დასავლეთის დემოკრატიას სათავეში ჩაუდგა პრეზიდენტი რეიგანი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მტკიცედ დაიცვას ევროპაში ბირთვული რაკეტების შემოტანის კალენდარი და ენერგიულად წინ აღუდგეს საბჭოების ექსპანსიას დედამიწის ყველ კუთხეში. რაც შეეხება დემოკრატიული ევროპის პოზიციას, მის შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ფედ. გერმანიის ახლანდელი მთავრობა პრაგმატიული და გულადია კოლის ხელმძღვანელობით, ასევე ენერგიულია ინგლისის მთავრობა ტეტჩერის მეთაურობით და იტალია, როგორი მიმარღულებისაც არ უნდა იყოს მისი მთავრობა, ვაჟკაცურად გვერდს უმაგრებს ამერიკის პრეზიდენტს. ევროპელები და ამერიკლები თუ ერთობით სიმტკიცეს გამოიჩენენ, მაშინ ლენინის და მისი პოლიტიკური მემკვიდრეების მსოფლიოზე გაბატონების გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს განხორციელება არ უწერიათ.

მოსკოვის პოლიტიკური ხაზი სანდო არაა. ის წმინდა შოვინისტურია. მას მხოლოდ ძალის ენა ესმის. არც ერთი მორიგება მას პატიოსნად არ შეუსრულებია. მისი იდეოლოგიური სხივები მის საზღვრებს გარედ აღარ ბრწყინავენ და თვით საბჭოთა კავშირის საზღვრები საპოლემიკო საგნადაა გამხდარი მის სატელიტებშიც. მასთან ეკონომიური თანამშრომლობა რომ სანდო არაა, ამაზედ ვეცდები პასუხი გავცე შემდეგ წერილში.

დავით ვაშაძე
აგვისტო *1983* წელი.

*** *** *** ***

ს.ს.რ. კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა წარმომადგენლების მანიფესტაცია პარიზში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამასთან დაკავშირებით, *21* დეკემბერს დილით, საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა თავისუფლებისა და სუვერენობის კომიტეტის მოწვევით გაიმართა საზეიმო კრება პარიზში, ლიუქსემბურგის სასახლის მედისის ზალაში. საზეიმო კრების სპატიო თავმჯდომარე იყო საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე ბატონი **ალენ პოერი,** ეფექტიური თავმჯდომარე სენატორი, **ბ. ა. შოვენი** და ესწრებოდენ საფრანგეთის პარლამენტის სხვა დეპუტატები და სენატორები. აღმოსავლეთ ევროპის სატელიტ ქვეყნების წარმომადგენლების გვერდით, საბჭოთა კავშირიდან კრებაზე წარმოდგენილი იყვენ უკრაინელები, ბელორუსები, ლატვა-ლიტვია-ესტონეთი და საქართველო. ქართულ დელეგაციაში შედიოდენ: **ვიქტორ ხომერიკი, ნელი ვოდე-მდივანი, ლევან ფალავა: ალექსი აბაშიძე, შოთა აბაშიძე, სერგო დონდუა** და **გიორგი წერეთელი.** კრება ჩატარდა ლოზუნგით: **შეერთებული და დემოკრატიული ევროპა აღმოსავლეთ და შუა ევროპის დაპყრობილ** ერთა **განთავისუფლების იმედი.** თავმჯდომარის შესავალი სიტყვის შემდეგ კრებას მიესალმენ ფრანგი დეპუტატები და სენატორები, საბჭოთა რუსეთის პყრობილების ქვეშ მყოფი ერების წარმომადგენლებმა, მათ შორის ქართველებიდან ვ. ხომერიკმა, რომელსაც ქვემოდ ვაქვეყნებთ. გამოსვლების შემდეგ კრებამ ერთსულოვნად მიიღო შემდეგი შინაარსის მოწოდება:

„ამ დეკემბრის თვეში ვზეიმობთ რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის *35* წლისთავს და გვინდა რა ჩვენი სოლიდარობა გამოვუცხადოთ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილ ხალხებს, ჩვენ გვინდა ის დავუკავშიროთ თავისუფალ, დემოკრატიულ და შეკავშირებულ ევროპის იდეას, ევროპის პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

შუა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხები იბრძვიან ადამიანის უფლებების და ეროვნული სუვერენობის უფლებების სარგებლობისათვის მათი ცხოვრების ყოველ დარგში. დიდი მსხვერპლის გაღებით და შეუპოვრობით ისინი იცავენ მათ ევროპულ კულტურას და მოუწოდებენ დასავლეთ ევროპას, რომ თავიანთი რიგები შეამჭიდროვონ, რადგან ისინი თავიანთ იმედებს ამყარებენ ევროპის მხარდაჭერაზე იდეოლოგიურ და სამხედრო პყრობელობიდან გასანთავისუფლებლად, რომელიც მათ *1917* წლიდან მოყოლებული თავს მოახვიეს ძალით სხვადასხვა დაპყრობების დროს. ყველა ეს ხალხები ერთ ევროპას ეკუთვნიან, მათი განთავისუფლება შეუძლებელია ევროპის გაყოფით! ისტორიული ევროპა, კულტურული ევროპა ერთია და განუყოფელი! ევროპის ერთი ნაწილის დაპყრობა იწვევს მთელი ევროპის დაძაბულობას. უზომო საოკუპაციო პოლიციისა და ჯარის არსებობა, თავის მხრივ იწვევს ამაფეთქებელ განწყობილებას მსოფლიოში. ყველა ტოტალიტარული და საბჭოთა რეჟიმების მაგალითები ადასტურებენ ამ აზრს.

ამჟამად, როცა მზადდება ევროპის პარლამენტის არჩევნები, უნდა გამომუშავებული იქნეს ისეთი ეფექტიანი და გამოსადეგი პოლიტიკა, რომ შესაძლებელი გახდეს ამ დაპყრობილ ერების სუვერენობის აღდგენა. ევროპის პარლამენტმა, დასავლეთ ევროპის მთავრობებმა უნდა საზეიმო განწყობილებაში საჯაროდ გამოაცხადონ, რომ მშვიდობიან საშუალებებით, მაგრამ ყოველგვარი მერყეობისა და დათმობების გარეშე მათი საბოლოო მიზანია: **თავისუფალი, შეერთებული** და **განუყოფელი ევროპა.** ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება უკედ გაამხნევებს აღმოსავლეთ და შუა ევროპის პყრობილ ერებს, ვიდრე დღევანდელი ჰუმანიური დახმარებები ცალცალკე.

ადამიანის უფლებების და ხალხთა უფლების [თვით განაგოს თავისი ბედი თავისუფლად, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობის საფუძველს] დარგში არ არსებობენ საზღვრები ევროპის ხალხებს შორის, არც შინაურ საქმეებში ჩარევა და არც შესაძლებელი ზემოქმედება.

ვიქტორ ხომერიკის გამოსვლა

ბატონო თავმჯდომარე: ქალბატონებო, ქალიშვილებო, ბატონებო!

საქართველომ, რომელიც ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარეობს, მისი ტერიტორიით და გენიით განიცადა ამ ორი ელემენტის გავლენა, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მას არ შეუწყეტია დასავლეთისაკენ მზერა, რომლისაგანაც ის მოწყეტილი იქნა კონსტანტინეპოლის აღებით. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში აქ ათავსებდენ ლეგენდარულ პრომეთეს და ოქროს საწმისს. საუკუნეების განმავლობაში საქართველო და მისი მეზობელი სომხეთი იყენენ, ქრისტიანობის სახით, კაცობრიობის თავისუფლების დაცვის ციხე-სიმაგრენი, აზია-აღმოსავლეთის ტოტალიტარული იდეოლოგიის წინააღმდეგ. დღეს ის იმყოფება იგივე მდგომარეობაში, ის აგრძელებს ადამიანის ღირსების და ეროვნული თავისებურების დაცვას საბჭოთა იმპერიის ძალაუფლების წინააღმდეგ. როგორც გუშინ ისე დღეს ქართველი ხალხი ერთგულია მისი მისიის: დაცვა თავისუფლების, ადამიანის ღირსების და ერის სუვერენობის, რითაც ის უკავშირდება ს.ს.რ.კ.-ს ხალხებს და აღმოსავლეთ ევროპისას, რომლებიც აგრეთვე შებრკოლი არიან საბჭოთა იმპერიაში და, რომლებსაც სურთ შეერთებული ევროპა, დემოკრატიული და თავისუფალი, სადაც თითოეულ სუვერენ ერს ექნება მისი არჩეული ადგილი.

ახლო წარსულში ჰიტლერს უნდოდა შეერთებული ევროპა განეხორციელებია გერმანიის ჩექმებს ქვეშ. იგივეა დღეს ტოტალიტარულ საბჭოთა ხელისუფლების მიერ, რომელსაც სურს თავისებურად გამოსჭედოს ევროპა, მაგრამ შეერთებული და დემოკრატიული ევროპა არ შეიძლება განხორციელდეს ევროპის ხალხების თვითგამორკვევის უფლების, დემოკრატიული პრინციპების და სუვერენული უფლებების პატივისცემის გარეშე.

შუა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხების მიზანი არ არის მსოფლიოს დაპყრობა და დამორჩილება, არამედ ბრძოლა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ, რათა თვით შეძლონ თავისუფლად ცხოვრება და სხვებს კი დაანებონ მშვიდობა.

თავისუფალი დემოკრატიული შეერთებული ევროპის იდეა მომავლის საქმეა, ხოლო ამჟამად ჩვენი მოვალეობაა ვიბრძოლოთ საბჭოთა იმპერიის ტოტალიტარული ძალაუფლების წინააღმდეგ. მისი შექმნიდან ჩვენს დრომდე ამ ხელისუფლების ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა გაუთავებელი აგრესიები, გაუთავებელი კრიმინელობა ადამიანების მიმართ და მის მიერ დადებული ხელშეკრულებების დარღვევა.

მათი ტოტალიტარული იმპერიის დაცვის მომიზეზებით, კრემლის მმართველნი განუწყეტლად აფართოებენ მათ დესპოტურ ხელისუფლების არეს მრავალ იმ ხალხებზე, რომლებიც მხოლოდ თავისუფლებას ეძებდენ. ახშობს რა ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებას, დესპოტური ხელისუფლება ცდილობს ეცეხლსა და სისხლში გადაადნოს აღმოსავლეთ ევროპის და ს.ს.რ. კავშირის ხალხები და ერთადერთ ყალიბში ჩამოასხას.

საბჭოთა კავშირის ერების შემდეგ, ამ ტოტალიტარული ხელისუფლების მსხვერპლ ერთა კოჰორტების ზრდა შეუწყეტლივ გრძელდებოდა უკანასკნელი მსოფლიო ომის შემდეგ. დღეს მისი აგრესია ვრცელდება ავღანეთზე და ეს ყველაზე მუხთალი და მკაცრი კოლონიზატორები ემუქრებიან დასავლეთ ევროპის კარებს.

დაძაბულობის შენელების გულისთვის, ლიბერალურმა დემოკრატებმა მიიღეს, რომ თავისუფლების და დემოკრატიის დაცვა არ ღირს იმად, რომ მეტის-მეტად გაანაწყენონ საბჭოთა მთავრობა. თავისუფალი ქვეყნების ენერგიული და ერთსულოვანი რეაქციის უქონლობა ამხნევებს საბჭოთა ხელისუფლების აგრესიას და ემუქრება მშვიდობას.

საბჭოთა წესწყობილების კარგი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ის არაა უგრძნობი გარედან ზემოქმედების, როცა ეს უკანასკნელი ვლინდება გადაჭრით და მტკიცედ. დამღუპველია თვალების დახუჭვა, როცა აგრესიას ან ბოროტმოქმედებას ჩადიან ჩვენს წინაშე. უკანასკნელი ომის დროს ჩადენილი ბოროტება კაცობრიობის წინააღმდეგ გვიჩვენებს თუ სანამდე მივყავართ ასეთ სისუსტეს.

აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის ტყეობაში მყოფი ერების მიერ წარმოებული ბრძოლა მათი ეროვნული ემანსიპაციის, თავისუფლების და ადამიანური ღირსებისათვის არის ამავე დროს თავისუფალი სამყაროსათვის წარმოებული ბრძოლაც, რადგან საფრთხე აშკარა ხდება და არავის არ შეუძლია თქვას, რომ ის მისგან დაზღვეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიის სვლა გარდუვალია: ადრე თუ გვიან თავისუფლება გზას გაიკვლევს, საბჭოთა ტოტალიტარული იმპერია ვერ გაექცევა მის ბედისწერას: იგი დაემხობა, როგორც დაემხენ სხვა იმპერიები! მაგრამ, მოვალეობაა თითოეული ერის, თავისუფალი ქვეყნების თითოეული მოქალაქის, რომ მან იბრძოლოს „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის," რათა მიღწეული იქნეს ყველა ხალხების მიერ ნანატრი დაგვირგვინება.

ვიქტორ ხომერიკის სიტყვა
21.12.1983.

*** *** *** ***

იუნესკოს კრიზისი

1983 წ. *28* დეკემბრის თარიღით ამერიკის შ. შ.–ს სახელმწიფო მდივანმა, ბ. ჯ. შულცმა წერილობით აუწყა **იუნესკოს** გენერალურ მდივანს, ბ. მ'ბოვს, რომ ამერიკის შ.შ. გადის **იუნესკოდან**, რაც ძალაში შევა *1984* წ. *31* დეკემბრიდანო. ამერიკის სახ. მდივნის წერილში სხვათა შორის ნათქვამია, რომ **იუნესკოს** დაარსებისას მის მიზანს შეადგენდა გაერთიანებულ ერთა სწავლა-განათლების, მეცნიერების და კულტურის საერთო განვითარება და ხელის შეწყობა, რაც წლების განმავლობაში მან თანდათან დასტოვა და გადაიქცა ზოგიერთ სახელმწიფოს საპროპაგანდო საშუალებად. ჩვენ ძალა არ დაგვიშურებია ამ მიდრეკილების გამოსასწორებლად და თავდაპირველ პოზიციებზე დასაბრუნებლად, მაგრამ ამან ვერ გამოიღო მთლად ის ნაყოფი, რასაც ჩვენ ვესწრაფოდით და ეს გვაიძულებს დავტოვოთ ამ ორგანიზაციის რიგებიო. ამევე წერილის დასასრულს ბატონი შულცი ამბობს: „ჩვენ განზრახული გვაქვს რესურსები, რომლებსაც ჩვენ ამჟამად **იუნესკოს** ვახმართ, გამოვიყენოთ სხვა ხასიათის თანამშრომლობისათვის(...) ყველა პროგრამა, რომელსაც შეერთებული შტატები გამოიმუშავებს ამ მიზნისათვის, საფუძველად დაედება **იუნესკოსა** და ამერიკის შ.შ.–ს მომავალ თანამშრომლობას"-ო.

ცნობილია, რომ ამერიკის შ. შ. იხდის ყოველწლიურად, როგორც **ონუს**, ისე იუნესკოს მთელი ბიუჯეტის ¼-ს. მარტო ფინანსიურ თვალსაზრისით ამერიკის შ. შ.–ს გასვლა **იუნესკოს** აყენებს ყოფნა-არყოფნის წინაშე.

სწორედ დროულად ჩვენს განკარგულებაშია ჩვენი თანამშრომლის, ბ. დავით ვაშაძის მიერ ერთ სერიოზულ გერმანულ პრესის ორგანოდან თარგმნილი სტატია **იუნესკოს** შესახებ, რომელიც საკმარისად ნათელს ფენს ამ ორგანიზაციის კრიზისის მიზეზებს და მას ქვემოდ ვთავაზობთ მკითხველებს.

იუნესკო

[შემოკლებულად თარგმნილი *1982* წ. *10* ოქტომბრის ყოველკვირეული დიდი გერმანული გაზეთიდან: „ველტ ამ ზონტაგ." დ.ვ.]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი უდიდესი ქვედა ორგანიზაცია **„იუნესკო"** *1978* წლიდან მოყოლებული საბჭოთა საპროპაგანდო მანივრის პლატფორმადაა გადაქცეული და ამავე დროს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა განიარაღება, დაძაბულობის შენელება და სამშვიდობო მოძრაობა, კომუნისტურ-საბჭოურ პოზიციებზე დაადგა. მისგან მოწყობილ ლენინის დაბადების *100* წლისთავს, ფაშისტური გერმანიის დამარცხების *30* წლისთავს და ოქტომბრის რევოლუციის *60* წლის თავს დიდი გამოძახილი ერგო.

რუსეთი ამჟამად **იუნესკოს** იყენებს თავისი საბჭოთა მეურნეობის კოლოსალური ზრდის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის უზომო გამოკეთების, მეცნიერების, კულტურის და აღზრდის არაჩვეულებრივი წინსვლის, საბჭოთა კონსტიტუციის, საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის, განიარაღების და დაძაბულობის შენელების საბჭოური განმარტების საპროპაგანდოდ.

ორგანო „იუნესკოს მგზავრი", რომლის გამოცემის პასუხისმგებელი საბჭოთა კომისიაა და რედაქტორების შტაბიც მხოლოდ რუსებისაგან შესდგება, შესანიშნავად იყენებს მოსკოვი კომუნისტური იდეოლოგიის მიზნებისათვის.

იუნესკოს სამოქმედო სფეროს ეკუთვნის აგრეთვე საერთაშორისო გამოფენები და კინოფესტივალები. მარტო პარიზში წლიურად ათ გამოფენას აწყობენ, რაც დიდ ეფექტს ახდენს ასათასობით მნახველებზე. რასაკვირველია, ამ იშვიათ საპროპაგანდო საშუალებას მაქსიმალურად იყენებს მოსკოვი, რომელიც **ონოს და იუნესკოს** მთავარ პოსტებზე პოლიტიკოსებს აგენტებს აყ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს, რაც გამომაყოვანა **უნოს** გენერალური მდივნის თანაშემწემ უშიშროების საკითხში, **არკადი შევჩენკომ**, რომელმაც *1978* წ. აპრილში თავი შეაფარა ამერიკას. თავის განცხადებაში მან თქვა, რომ „უნო"-ს საბჭოელ მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი (სულ *300* თანამშრომელი) **კ.გ.ბ.**–ს და **გ.რ.უ.**–ს(საბჭოთა საიდუმლო სამხედრო პოლიცია) აგენტები არიანო. მათ შორის, შევჩენკომ დაასახელა **გელი დნეპროვსკი** და **ვიქტორ ლესოვსკი**, ერთ-ერთი ახლო თანამშრომელი **უნოს** მაშინდელი გენერალური მდივნისა. მიუხედავად ამ აღმოჩენისა რუსებმა მაინც თავისი გაიტანეს და დნეპროვსკი **უნოს** პერსონალის განაყოფლების უფროსად დანიშნეს ჟენევაში და მისთვის მისაწვდომია ყველა საიდუმლო აქტები. იმავე წელში, ივლისში, ინგლისში თავშეფარებული **უნოს** დელეგაციის წევრი ჟენევაში და **გ.რ.უ.**–ს თვალსაჩინო წევრი ადასტურებს, რომ დნეპროვსკი **კგბ**-ს ოფიცერია.

ორივე ბიბლიოტეკა **უნო**-სი, რომლებიც დიდი სახელით სარგებლობენ საბჭოების ხელშია და წლების განმავლობაში ნიუ-იორკში ყდულობს წიგნებსა და ბროშურებს, რომლებშიაც დღევანდელი აქტუალური საკითხები მარქსიზმ-ლენინიზმის თვალთახედვითაა გაშუქებული, სხვა წიგნები კი, მაგალითად ფედერაციული გერმანიის პირველი პრეზიდენტის **ტეოდორ ჰოისის** მოგონებები, თითქოს როგორც ფაშისტური, დაწუნებულია. ჟენევის ბიბლიოტეკა უშუალოდ **უნო**-ს გენერალურ მდივანს ემორჩილებოდა, მაგრამ *1982* წ. აპრილიდან ახალმა გენ. მდივანმა ის დაუქვემდებარა **კ.გ.ბ.**–ს ოფიცერს **იური პონომარევს** და ახლა გამოცემების შესყიდვა დავალებული აქვს ბულგარელ **ტეოდორ დიმიტროვს**, პონომარევის მოადგილის, **ვალერი** ბოგინიხის ახლო მეგობარს. საბჭოთა აგენტების მიერ **იუნესკო**-ს სრული დაუფლების ცნობა აშკარად გამოირკვა, აგრეთვე, როცა ფრანგი ჟურნალისტი **პიერ შარლ პატე**, *1980* წ. მაისში, საფრანგეთის სასამართლომ *20* წლის პატიმრობით დასაჯა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის."

*** *** *** ***

აკაკი ბაქრაძე ეროვნული გრძნობის უკვდავებაზე

[ერთმა ჩვენმა კორესპონდენტმა ისრაელიდან, ბ. **ილან ავიშაიმ**, კრებულ „ცისკარში" გამოქვეყნებული აკაკი ბაქრაძის სტატია „**გახლეჩილი გული**" გამოგვიგზავნა, თანაც მოკლე წერილი მოაყოლა ზემოდ მოყვანილი სათაურით. სიამოვნებით ვთავაზობთ მკითხველებს ჯერ ბ. ავიშაის წერილს, შემდეგ პროფ. ბაქრაძისას. **თ.ტ.**]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახლეჩილი გული

გაბნეული ვართ ყველგან
სხვადასხვა უცხო მხარესა,
ვერ ვხედავთ იერუსალიმს,
იმის მზეს, მისსა მთვარესა,
ველარც ვსუნთქავთ სოლომონისა,
დიდ ტაძარს მოელვარესა,
რჯული გვედება მალამოდ
გულდამწვარ, სისხლმდუღარესა;
უცხო ვართ ყველა ხალხებთან,
ცრემლს ვაქცევთ მუდამ მწარესა,
შეჰვედრე: ტანჯვა გვაკმარონ,
მეტი არ შეგვიძლიაო,
ახა, ნარინჯო, ნარინჯო,
შენ ბროწეულო, იაო!

ასე გოდებს ებრაელი კაცი აკაკი წერეთლის ლექსში. და თუ მას სადმე მყუდრო თავშესაფარი უპოვნია, ეს ალბათ საქართველოში იყო.

არავინ უწყის, როდის გაჩნდა ჩვენში ებრაული მოსახლეობა. ნიკო მარი ფიქრობდა, რომ სიტყვა „ურია“ (რომელსაც ახლა დამამცირებელი ელფერით აღვიქვამთ) ნიშნავდა ქალდეველთა ურიდან მოსულ კაცს, ანუ ურელს. „ქართლის ცხოვრება“ კი გვიამბობს—მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკით. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი.“

თუ ასეა, მაშინ ებრაელობა უხსოვარი დროიდან სახლობს საქართველოში.

თითქოს უცნაურია, მაგრამ ჩვენ ქრისტეს კვართითაც ვართ დაძმობილებული.

მატიანე გვიჯვება ვითარ წავიდა მცხეთელი ებრაელი ელიოზ იერუსალიმს. წოლად ხვდა კვართი იგი უფლისა და წამოიღო მცხეთას. ქალაქად მოსულს წინ მიეგება ელიოზს დაი მისი, გამოართვა კვართი და გულში ჩაიკრა სიტყვებით—ქრისტეს სიკვდილისათვის, და დედისათვის, და ძმისათვის, რომელ ეზიარა სისხლსა უფლისასა. რა წარმოთქვა ეს, განუტევა სული ქალმა. შეშინებულა ხალხიც და მეფე ადერკიც. ხელმწიფეს არ უნებებია მიცვალებულის ხელიდან გამოეცლიათ კვართი. ასე დაუმარხავთ, უფლის კვართთან ერთად, ელიოზ მცხეთელის დაი.

მერე საფლავზე ულამაზესი ლიბანის ნაძვი ამოსულა.

გამოხდა ხანი. საქართველოში წმიდა ნინო ჩამობრძანდა და ქართველი ხალხი ქრისტიანობად მოიქცა. მეფე მირიანს უკითხავს წმ.ნინოსთვის, სად ავაგოთო უფლის ტაძარი. აურჩევიათ სწორედ ის ადგილი, სადაც ლიბანის ნაძვი ხარობდა. მოუკვეთიათ ხე, სვეტად განუმზადებიათ, ხოლო მის ძირზე საძირკველი დაუდგამთ. მაგრამ აქ უცნაური რამ მომხდარა: ვერც ხელით, ვერც მანქანებით ნაძვის სვეტს ძვრა ვერ უყვეს. შეწუხდენ ფრიად ერი და მეფე. არ იცოდნენ რა ექნათ. მთელი ღამე ლოცვად დადგა წმ ნინო და სულიერნი დანი მისნი. დილით, გამთენიისას, როცა ქალებს მიერულათ, ხელაპყრობილ ნინოს მიუახლოვდა ჭაბუკი ერთი, ნათლით მოსილი. სამი სიტყვა უთხრა ნინოს და ქალი პირქვე დაეცა. მაშინ ჭაბუკმა მოჭკიდა სვეტს ხელი და ცისკენ წაიღო. ერთ-ერთი სულიერი დათაგანი, სიდონია მივიდა ნინოსთან და ჰკითხა, რა მოხდაო. ნინომ სიდონიას თავი დაახრევინა და ასე ჩუმად მდგარან ქალები ერთხანს. მერე თავნი აუწევიათ და უხილავთ — ცეცხლის სახედ ჩამოდიოდა სვეტი. იგი დაედგა ძირს, რომლისაგანაც მოჭრილი იყო. ამის მოწმე გამხდარან რიერაეზე წამომდგარი მეფე და მთელი ერი.

ამ ადგილას ააგეს სვეტიცხოვლის ტაძარი.

და ახლა საუკუნეების მანძილზე სისხლით ნაქსოვი სიფარულის ძაფები წყდება და ებრაელობა დედასამშობლოში ბრუნდება. ვერ გაამტყუნებ. ყველას აქვს ბინა: მელიას—სორო, ჩიტს — ბუდე, მხოლოდ ებრაელს არა აქვს შინა. მას მხოლოდ საფლავი უც—მოთქვამს ისრაელის ძე ბაირონში „სტიროდეთ“, რომელიც ილიამ თარგმნა ქართულად. ახლა აქვს ებრაელ კაცს სამშობლო და ვით ეთქმის საყვედური, თუ იგი დედის წიაღში ბრუნდება, რარიგ მტკივნეულიც უნდა იყოს ეს დაბრუნება.

ებრაელთა აზრმა კაცობრიობის კულტურულ საგანძურში ბევრი საუნჯე შეიტანა, მაგრამ ებრაელთა საქციელმა უკვდავი გაკვეთილიც ჩაგვიტარა და თვალნათლივ დაგვიმტკიცა, რომ ეროვნული გრძნობა უკვდავია და არ არსებობს ძალა, რომელსაც მისი ამოძირკვა შეეძლოს.

ამ უკვდავი გრძნობის სახელით ბრუნდებიან ისინი სამშობლოში. დედისაკენ მიიქცნენ, მაგრამ არც დედობილი ავიწყდებათ. ისრაელში გამოდის ქართული გაზეთი, იბეჭდება ქართული წიგნი, თელ-ავივის უნივერსიტეტში არის ქართული ენის კათედრა.

და, როცა მზე ხმელთაშუა ზღვის ტალღებში ჩაესვენება, ეზოს ჭიშკართან მომდგარ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვეულ ებრაელს ახსენდება თავისი ბანძა და ონი, თავისი საჩხერე, ცხინვალი და გორი, თავისი თბილისი. ეს გახსენება სავსეა ნოსტალგიით დედობილის მიმართ.

ამ ნოსტალგიას ეძღვნება გურამ ბათიაშვილის პიესა „ვალი". მე არ შევუდგები ლაპარაკს გ. ბათიაშვილის პიესის ავ-კარგზე, ახლა ეს საჭიროდ არ მიმაჩნია. ამ პიესაში არის გახლეჩილი გულის კვნესა და ეს გახლავთ მთავარი

აკაკი ბაქრაძე

„ცისკარი" აგვისტო *1980*.

*** *** *** ***

მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ი გ ა ნ ც დ ა

ომის წლებში, სადღაც, გავიცანი ერთი ქართველი: ჩემზე ცოტა ახალგაზრდა იქნებოდა, ცოტა მაღალიც, გამხდარი თხელი სახე, მაგრამ ომისი სახის გამომეტყველებაში სისპეტაკე და დიდი ნებისყოფა გამოიხატებოდა. მისი თვალებიდან თითქოს ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდენ...

საღამო იყო, ***1944*** წლის ზაფხულის, მწვანეზე წამოვწექი მარტოდმარტო და ფიქრებში ჩავიძირე... უცბად ეს ახალგაზრდა, სახელად ერემია, დამადგა თავზედ, ცოტა ხნის მერე იგიც წამოწვა ჩემს გვერდით და მუსაიფი გავაბით ერთხანას. მერე მან დასძინა: ბიჭო ვახტანგ! მე ძალიან ხათრი მაქვს შენი, მითხარი მოკლედ შენი ამბავი, მინდა ერთი ლექსი დაგიწეროო. მე მას ვუამბე ჩემი ბიოგრაფია მოკლედ, რის შემდეგ მან ჩქარა მარტოდ დამტოვა ისევ. ამ გარემოებამ ჩამაფიქრა: ასე უცბად რა უნდა დამიწეროს—თქვა...

მეორე დღეს დილით ადრე გადმომცა დაწერილი ლექსი. ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლექსი ბოლომდე წავიკითხე. ვფიქრობ ეს ლექსი სინამდვილეში არა მარტო მე მეხება, არამედ ყველას, ვისაც კი საერთო ბედი გვაქვს, ამიტომ ვაქვეყნებ მის მხოლოდ ზოგიერთ კუპლეტებს. ლექსი ასე იწყება:

„ძმასა და მეგობარს ვახტანგის! ერემიასაგან

რა მოარჩენს ჩემს სულის წყლულს,
დაჭრილ გულს რა გაამრთელებს,
ვინ მომაცლის დარდს და ვარამს,
ვინ გაფანტავს ფიქრებს მწველებს.

ვინ იხილავს მშობელ მხარეს,
ცას ფირუზს და ზურმუხტ ველებს;
ვინ მოუტანს მოხუც დედას
ბარათს ცრემლით დანასველებს.

გული კვდება, როს ვიგონებ
საქართველოს მზეს და მთვარეს;
ნეტავ ერთხელ თუ ვიხილავ
საოცნებო ზურმუხტ მხარეს!!!

არ ვინატრო სხვა სიმდიდრე,
შენი ხილვით გამეხაროს;
დავეწაფო გულმხურვალემ
მთის ნაკადულს და მის წყაროს.

ნუ მოვკვდები უცხო მხარეს,
რაც ვიტანჯე ეს მეკმაროს,
მე სამშობლოს მიწა ტკბილი
მოვკვდე მკერდზე დამეყაროს!

ამდენი ხნის ზამთრის შემდეგ
ერთხელ მაინც გაზაფხულდეს,
რომ ქართველთა გულის ძგერა
ნარნარ ხმებად ამაჟღერდეს.

მაგრამ არა, მსურს ვიოცახლო,
გავიტანო ბრძოლით ღელო,
კიდევ მინდა რომ ვიხილო
ჩემი სატრფო საქართველო.

ვერა, ვერას დამაკლებენ,
რაგინდ მტანჯავდენ მე მტრები,
დედავ ჩემზე ნუ ინაღვლებ,
მე კვლავ სახლში დავბრუნდები...

ერემია ჩვენს ნაწილში არ იყო დიდი ხნის მოსული და, როდესაც მან ეს ლექსი დამიწერა, ჩქარა ჩვენ იქიდან სხვაგან გადაგვიყვანეს და დიდი ხანი არ გასტანა, რომ ერემია ჩვენი ნაწილიდან ისევე მოულოდნელად „გაქრა", როგორც მოულოდნელად შემოგვიერთდა.

ვახტანგი საყვარელიძე

ა. შ. შ. ნოემბერი *1982*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების ტრიბუნის ათი წლისთავი

თავისუფლების ტრიბუნის პირველმა ნომერმა დღის სინათლე იხილა *1974* წლის იანვარში. ამ ნომრით ათი წელი იხურება. ათი წელიწადი საპატიო ნიშანსვეტია საინფორმაციო-პოლიტიკურ პრესისათვის. იგი თავისთავად მეტყველებს ჩვენი ორგანოს ფესვების ცხოველმყოფელობაზე. აღვნიშნავთ რა ამ ჩვენს პატარა იუბილეს, სრულებითაც არ გვსურს თავი მოვიწონოთ, მით უმეტეს: დაფნის გვირგვინით თავის შემკობა, **არამედ** გავლილის თვალის მოვლება, შეხმიანება თანამოსანგრეებთან, მათდამი ანგარიშგება.

ქართულ პოლიტიკურ-ეროვნულ ემიგრაციას ექვსი ათეული წელი შეუსრულდა. ის შეგვიძლია ოთხ მთავარ ნაკადად გავყოთ: *1.* მამულიშვილები, რომლებიც დამარცხდენ შემოსეულ მტრებთან ბრძოლაში და ეროვნულ მთავრობასთან ერთად გადმოიხვეწენ *1921* წლიდან *1924* წლამდე. *2.* აგვისტოს ეროვნული გამოსვლების მონაწილენი, რომლებიც სამშობლოს სტოვებენ *1924 - 1930* წლებში. *3.* მეორე მსოფლიო ომის ტყვეყოფილები, რომელთა შორის ბევრი გერმანიის მხარეზე გადავიდა და, ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ, უარი თქვა საბჭოთა სამშობლოში დაბრუნებაზე. *4.* და ბოლოს, ამ უკანასკნელ წლებში, რომ თითოოროლად გვემატებიან და, რომლებსაც ახალი სისხლი და სიცოცხლე შემოაქვთ.

ლევან ზურაბიშვილი
1906 - 1975

გიორგი გამყრელიძე
1903 - 1975

*** *** ***

ვიქტორ ნოზაძე
1894 - 1975

მიხეილ გრიგოლია
1905 - 1974

*** *** ***

პირობები და გარემო სულ სხვადასხვა იყო ამ ნაკადთა წარმომშობი, მიზეზი კი ერთი და ივივე: ჩვენი სამშობლოს დაპყრობა შემოსეული უცხო მტრის მიერ და მისგან იქ ხიშტებზე დაფუძნებული ტირანიის გაბატონება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ემიგრაციის დიდი უმრავლესობა, თუ მთლიანად არა, პოლიტიკურია, და ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ არსებობს მის ნაკადებს, ან, თუ გნებავთ, თაობებს შორის.

ლუბა აბდუშელი

ივლიტე (ნამო) გოგუაძე

პირველი თაობიდან ძალიან ცოტანიღა დარჩენ ცოცხლები. მეორე თაობაც ძალიან შეთხელდა უწყალო საწუთროსაგან, მაგრამ მათი წმიდა საქმე, მათი უძვირფასესი იდეაღი უკვდავია, ისინი ცოცხლობენ ჩვენში და ჩვენს შემდეგ, ჩვენს მომდევნო თაობებს გადაეცემათ.

ემიგრაცია არაფრით არ განსხვავდება სხვა ქართულ საზოგადოებებისაგან, გარდა იმისა, რომ იგი შეფიცულია სამშობლოს განთავისუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების საქმის, და, სიმართლე უნდა ითქვას, ამ ფიცს ის ღირსეულად ასრულებს. აბა, მიჩვენეთ სხვა ემიგრაცია, რომელსაც ასეთივე წარმატებით გაეძლოს **63** წლის ეროზიისათვის. საღი კლდესავით დგას ჩვენი ემიგრაცია. მის ზედაპირზე სხლტება თოვლი და თქეში ისე, რომ მისი გული შეუვალი და მშრალი რჩება. მარტო ჩვენი ორგანო და მის ირგვლივ შემოკრებილი მამულიშვილები კმარან თქმულის ნათელსაყოფად. დიახ, ქართული ემიგრაცია ჯარმაგი და გამოცდილებებით დაჯურსული განაგრძობს სიცოცხლეს, სიცოცხლეს არა უმიზნოს და ურგებს, არამედ იგივე იდეალებით გამთბარ-გასხივოსნებულს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მის ჩამოყალიბება-დაარსებას, ე.ი. საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის და იქ პოლიტიკური თავისუფლების გაბატონების უბერებელ და უკვდავ საშვილიშვილო საქმეს. აი, ამ წმინდა ეროვნულ საქმეს ვემსახურებოდით ჩვენც ამ უკანასკნელი ათი წელიწადის განმავლობაში.

სალომე დარბაისელი, იგივე ზურაბიშვილი

დავით ვაშაძე

თავის დროზე, დიდი ილია გამოვიდა წოდებათა შორის ხიდის გადების მოწოდებით. ჩვენ კი მიზნათ დავისახეთ, ერთი მხრით, ეროვნულ პარტიებსა და, მეორე მხრით, ამ პარტიებსა და უპარტიო მამულიშვილებს შორის გაგვედვა მტკიცე ხიდი, რათა ერთად დარაზმულთ უკედ გვეკეთებია ჩვენი საერთო საქმე.

ილია კუკუხიძე, იგივე მინდია ლაშაური, და იგივე ალეკო ლორია

ქრისტეფორე იმნაიშვილი

იქნება გაცილებით მეტისა და უკეთ გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თავი იმით ვიმართლოთ, რომ ბედმა სასტიკად დაგვჩაგრა: ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენ განსაკუთრებით დიდძალი წევრი დავკარგეთ საერთოდ ჩვენი ემიგრაციიდან და კერძოდ თავისუფლების ტრიბუნის თანამშრომლებიდან. სულ რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა რედაქციის წევრი მიხეილ გრიგოლია, რომელმაც ვერც კი მოასწრო თავისი ნიჭის და ენერგიის გამოჩენა. ორი წლის თავზე კი დავკარგეთ რედაქციის მეორე ბურჯი, კაცი, საერთოდ გადმოხვეწილობაში, ქართული საქმიანობის მოამაგე და იმედი და დავრჩი ობლად მძიმე ტვირთის საზიდად. ერთხანად კეთილი ინებეს, პასუგისმგებლობა გამოცემის ჩემთან ერთად გაიზიარეს ბბ. გიორგი ნოზაძემ და მიხეილ ქავთარაძემ, რაც გაგრძელდა **1977** წლის ბოლომდე (თ.ტ.№**17 - 18** ჩათვლით), ეს ამბავი ცნობილია (იხ. თ.ტ.№**19**) და აქ თავს აღარ შეგაწყენთ გამეორებით. მას შემდეგ ამ საქმეს მარტოდ ვუძღვები თქვენი მონა-მორჩილი. მარტოდ გაძღოლა როდი ნიშნავს მარტოდ ყოფნას. პირიქით, თავ. ტრიბუნის ერთგული თანამშრომლების თანადგომა, თანამშრომლობა, თანაზიარობა მუდამ მაღფრთოვანებდა, ძალას მმატებდა და ამ ათი წლის თავზე სწორედ მათ მინდა

ჯოფილი და ამჟამინდელი საფრანგეთის ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარეები უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, მარცხნით **თამაზ ნასყიდაშვილი**, მარჯვნით **ვიქტორ ხომერიკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების ტრიბუნის სახელით გლითადი მადლობა მოვახსენო.

მიუხედავათ აუნაზღაურებელი დანაკლისებისა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თ.ტ.–ს მისი ძირითადი მისიისათვის: პრაქტიკული საქმიანობა ხიზნობაში ყოფი ქართველების ერთ ეროვნულ ფრონტში დარაზმვის სასარგებლოდ, არ უღალატია. მართალია, ჰქონდა ადგილი მცირე უკმაყოფილებებს მარცხნივ თუ მარჯვნივ, მაგრამ არასოდეს ისინი მტრობაში არ გადაზრდილან. სიმართლე უნდა ითქვას რომ ჩვენი პოზიცია საარხეინო არ ყოფილა. ქართული პოლიტიკური ტრადიცია და ალბათ ჩვენი ხასიათიც პარტიულ დაკა-დაკასა და გაწევ-გამოწევას უფრო ესადაგება, ვიდრე დინჯ აკადემიურ სჯა-ბაასსა და კრიტიკას. ჩვენ კი აქეთ ვუბიძგებდით. ვცდილობდით ჯელა პატრიოტთა შორის დაგვეცვა ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთთავაზიანობის წესი ისე, რომ არ დაზარალებულიყო არც ისტორიული სიმართლე, არც მიმდინარე ამბების ობიექტურობა. ეს კი ადვილი არ იყო.



დეკანოზი ილია მელია

გიორგი ნოზაძე

მე მგონია არ ვცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენს ემიგრაციაში თ.ტ. პირველია, რომელიც ასეთი სიხშირით გამოდის: სულ ცოტა ოთხჯერ წელიწადში. 16 გვერდიდან ის ნელნელა გავზარდეთ 32 გვერდამდე. ოთხი განსაკუთრებული ნომერიც გამოვეცით 86 -80 -54 - 56 გვერდიანები და ათწლიანმა პროდუქციამ ათას გვერდს გადაჰკარბა, თქვენს წინ მდებარე ფორმატით.

გულნარა ურატაძე, პატარიძის ასული

ნიკო ურუშაძე

ჩვენ ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თავისუფლების ტრიბუნას არ აფინანსებს არც ერთი უცხო საზოგადოება, არც კერძო, არც სახელმწიფო (სხვათა შორის, ასევეა სხვა ჩვენი ქართული პრესაც, რაც იშვიათი შემთხვევაა პოლიტიკურ ემიგრაციათა ისტორიაში) და იგი ცოცხლობს მისი თანამშრომლების და თანამდგომების უანგარო სამსახურით და ქართული ხელგაშლილობით, რომელთა უმრავლესობა პენსიონერთა დანაზოგი ობოლებია.

ამ ჩვენი ორგანოს ათი წლისთავზე, როცა მადლიერებით მივმართავთ მის ერთგულ მსახურებს, პირველ რიგში ქედს მოვიდრეკთ და არდავიწყების სანთლებს ავუნთებთ მათ, ვისაც ბედმა უმტყუნათ და ვალმოხდილები გავიდენ ამ სოფლიდან: **ლევან ზურაბიშვილს, მიხეილ გრიგოლიას, ვიქტორ ნოზაძეს, მიხეილ ხუნდაძეს, გიორგი ვაჩნაძეს, დავით ურატაძეს, პავლე სარჯველაძეს, ირაკლი მენთეშაშვილს, რეი ზურაბიშვილს, მარტიანე მგელაძეს, ანტუან კომპანიონს, დიმიტრი ბეგიაშვილს, გიორგი ჯველაშვილს, ალექსანდრე ბადურაშვილს, ალექსანდრე კარგარეთელს, ქეთევან ბელის, გრიგოლ აბულაძეს, ბაგრატ ჭაკიაშვილს.**

ლევან ფადავა

მიხეილ ქავთარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ჩვენთვის ძვირფასს მოსაგონრებს გვსურს დავუკავშიროთ განსვენებული პოეტი **გიორგი გამყრელიძე.** მას ავადმყოფობამ აღარ დაეცალა ჩვენთან თანამშრომლობა, მაგრამ მისმა ქვრივმა ქართველებს გადმოსცა სახმარად ქმრის ნაქონი ოფსეტის საბეჭდი მანქანა, რომელიც დაუფასებელ სამსახურს გვიწევს მეთექვსმეტე ნომრიდან (*1977* წ. აპრილი) მოყოლებული.

გიორგი ყიფიანი

გრიგოლ წერეთელი

ამ დიდი საპატიო მოგონებათა შემდეგ, ულრმესი პატივისცემით მივესალმები ჩვენს სალ-სალამათ თანამშრომლებს, მათ ვუნატრი მათუსალემისებურ ხანდაზმულობას, უტეხი ჯანით და უშრეტი ენერგიით: **ნამეტია გოგუაძეს, ქრისტეფორე იმნაიშვილს,** რომლებმაც ფერხულის ცეკვით გააცილეს *92* გაზაფხული, **ლუბა აბდუშელს, მამა ილია მელიას, გიორგი** და ლიდა ნოზაძეებს, დავით ვაშაძეს, მიხეილ ქავთარაძეს, ილია კუპუხიძეს, ნიკო ურუშაძეს, აღექსანდრე მანველიშვილს, გიორგი ნაკაშიძეს, გიორგი ჯაყელს,ალექსანდრე სულხანიშვილს, შალვა კალანდაძეს, ელიზბარ მაყაშვილს, მირიან მელუას, გიორგი ფიანს, რაფიელ ჯაშს, გრიგოლ წერეთელს, ვიქტორ ხომერიკს, გულნარა ურატაძეს, ლევან ფაღავას, როზა აბნერაშვილს, კარლო ინასარიძეს, ნუგზარ შარიას, დავით აჯიაშვილს, ირაკლი ოთხმეზურს, ზეინაბ ზურაბიშვილს, თამაზ ნასყდაშვილს, გივი გაბლიანს, ზურაბ ნარსიას, საღომე დარბაისელი-ზურაბიშვილს, ეთერი წერეთელს, ჯანრი კაშიას, იროდი ბეგიაშვილს, ილია თაყაიშვილს, მიხაკოს, ვალიკო ჩუბინიძეს, პეტრე ხვედელიძეს, დავით თოხაძეს, დავით ბებიაშვილს, შალვა ცინცაძეს, გიორგი გორგიშელს, გერასიმე ბოლქვაძეს, მიშა გოგორიშვილს, მიშა გაფრინდაშვილს, არჩილ მჭედლიშვილს, ირაკლი ჯაფარიძეს, ისიდორე გაჟონიას, ვარლამ ანთელავას, აკაკი ბარკალაიას, აკაკი გამსახურდიას, სიმონ კეკელიძეს, აპოლონ და ნიკოლა ანთაძეებს, შოთა ბერეჟიანს, თამარ საბახტარაშვილს, პავლე ვაშაძეს, ჯაბა ხაბულიანს, რუბენ გვეტაძეს, ალექსანდრე და ლეო ჭეიშვილებს მეუღლეებითურთ, ვახტანგი საჯარელიძეს, თამარ და ოთარ პატარიძეებს, შალვა ზედგინიძეს, გიორგი ახვლედიანს, ილო ემუხვარს, თამარ ლაღიძეს, ნელი და რევაზ გოგიტიძეებს, მია დადიანს, ნიკო ბედელაძეს, ვიქტორ ინაშვილს, კვიროსი ჩხაიძეს, ვალიკო ძამიას, აკაკი რამიშვილს, ზოსიმე ჯიშკარიანს, მათიკო სტურუას, მანია ჯაველაშვილს, აკაკი შავგულიძე, ლადო რუხაძეს, სერგო დონდუას, პასკალ შენგელიას და ჭელას, ვისაც ოდესმე რამე დახმარება გაუწევია თავისუფლების ტრიბუნის საქმიანობაში და, რომელთა ჭელას აქ ჩამოთვლა შეუძლებელია.

ეთერი წერეთელი



გიორგი წერეთელი

*** *** ***

გიორგი წერეთელი

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა (ფრ. ფრანკებში)

დავით ვაშაძე	*300*	ექიმი გივი გაბლიანი	*148*
შოთა ბერეჟიანი	*300*	შალვა ცინცაძე	*370*
პროფ. დავით თოხაძე	*700*	მიშა გაფრინდაშვილი	*300*
მიხეილ ჭელიძე	*183*	დავით ბებიაშვილი	*817*
ექიმი აკაკი რამიშვილი	*109*	ზოსიმე ჯიშკარიანი	*200*
ნიკოლა ანთაძე	*100*	რუბენ გვეტაძე	*150*
ირაკლი ოთხმეზური	*148*	ვალიკო ძამია	*816*

(...)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ფაშალიშვილი	150	არჩილ მჭედლიშვილი	200
შოთა ართვინელი	200	გერასიმე ბოლქვაძე	200
ანონიმი გ.ფ.რ.–დან	400	ლუბა აბდუშელი	100
რაფიელ ჯაში	300	გიორგი ფფიანი	200
ვარლამ ანთელავა	200	შალვა იაშვილი	100
მათიკო სტურუა	50	ეროდიონ ბეგიაშვილი	100
ნიკო ბედელაძე	100		

„პ.ხ."–საგან ევსევი (ძუკუ) გუგუშვილის ძვირფასი ხსოვნისათვის 746

ვახტანგი საყვარელიძე: ერეთეოზ რამიშვილის და ლეო დუმბაძის ძვირფას ხსოვნისათვის 530

პეტრე ხვედელიძე: ეკატერინე(ეკა) დადიანის მოსაგონარი, გარდაცვალების 10 წლისთავზე 851

ქრისტეფორე იმნაიშვილი: თეოფილე მუხაშაურია, პოლიკო რუხაძე და ალექსანდრე დგებუაძის ძვირფასი ხსოვნისათვის 500

ჯამი 9.568

„სიყვარულის თაიგულისათვის"

(განმარტებისათვის: ლექსების წიგნაკი: „სიყვარულის თაიგული" ავტორმა თავისი ხარჯით გამოსცა და საახალწლო ნობათად მიართვა ჩვენს მკითხველებს. ზოგიერთებმა მაინც ისურვეს დახმარება, რისთვისაც ის მათ უმორჩილეს მადლობას სწირავს და შემოსულ თანხას კი თ.ტ.–ის ფონდში რიცხავს. თ.ტ.)

დავით ვაშაძე	300	პროფ. გიორგი ნაკაშიძე	209
შოთა ბერეჟიანი	100	მიშა გაფრინდაშვილი	200
პროფ. დავით თოხაძე	300	ისიდორე გაჟონია	395
პეტრე ხვედელიძე	426	კარლო გვარჯალაძე	237
ლადო რუხაძე	200	ლუბა აბდუშელი	150
აკაკი შავგულიძე	200	თამარ პატარიძე	50
მიშა გოგორიშვილი	300	ლილი და თინა	100
დავით ბებიაშვილი	817		

ჯამი 3.984

ჩ ვ ე ნ ი ს რ უ ლ ი 10 წ ლ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი

	შემოსავალი	გასავალი
№39	6.542	6.243,31
№40	9.654	5.977,75
№41	7.781	6.644,00
№42	9.568	X
სიყ. თაიგუ.	3984	0
ჯამი	37.529	18.865

შემოსავალი ამ ნომრის ჩათვლით უდრის 37.529 ფრ. გასავალი კი ამ ნომრის გარდა უდრის 18.865 ფრ. 1982 წლის ბოლოს №39-ში გამოცხადებული საერთო ანგარიშით საღაროს დანაკლისი შეადგენდა 11.864 ფრანკს, რომელიც უნდა მიუმატოთ 1983 წლის გასავალს, რაც მოგვცემს 30.729 ფრ. თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ შემოსავლის ჯამს 37.529 ფრანკს, საღაროში დაგვრჩება 6.808 ფრანკი და ამ ნომრის ხარჯები გასასტუმრებელი, რამაც ჩვენი ვარაუდით ერთმანეთი უნდა გააწონასწოროს. ამრიგად, მრავალი წლების დანაკლისების შემდეგ, ათი წლის თავზე ჩვენი საფინანსო ბალანსი დადებითია, რაც დიდათ მისასალმებელია და კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა ყველას. თ.ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგლოვიარო განყოფილება

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ :

--- --- ---

1982 წლის დეკემბერში პარიზში გარდაიცვალა **ალექსანდრე მაისურაძე,** რომლის ნეშტი სოფელ ღევილის სასაფლაოზე გადმოსვენდა *1983* წლის *16* ნოემბერს.

--- --- ---

1983 წლის *5* ნოემბერს ბავარიის დედაქალაქ მიუნხენში მიიცვალა **მოსე იმნაიშვილი.**

--- --- ---

ამ წლის დამდეგს, იანვრის *28*-ს პარიზში გარდაიცვალა **თამარა თაყიშვილი კახელაძის ასული** და დაიკრძალა ღევილის სასაფლაოზე.

--- --- ---

და ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ჰირისუფალთ.

****

თამარა ბერეჟიანის გამოსათხოვარი

ძვირფასო თამარა, დღეს გულდაკაწრული ქართული საზოგადოება და მწუხარების ბურუსში გახვეული მე *88* წლის შენი „ლუბუშკი“ სამუდამოთ გეთხოვებით. ვინ არ იცნობდა ჩვენს დაუვიწყარს თამარს?! თამარი იყო შესანიშნავი ემბლემა სიყვარულისა, სიკეთისა, და სილამაზისა. ჩვენ ყველა, როგორც ფუტკარი თაფლს, მის გარშემო ვტრიალებდით. ჩვენ ის გვიზიდავდა მისი იუმორით, მისი სიკეთით, მისი მომხიბლველობით. თავისი განუმეორებელი ხუმრობით ის ჩვენ გვართობდა, გვახალისებდა, დუხჭირ ცხოვრებას გვიმსუბუქებდა. თამარა ჩემთვის იყო იშვიათი პიროვნება. ყველაფერი, რაც მშვენიერია, კეთილია, საყვარელია, **მასში** შესანიშნავად იყო შეზავებული. ჩვენს სახელგანთქმულ პოეტსა და მოაზროვნეს გრიგოლ რობაქიძეს, თამარი, რომ პირველად უნახავს ბერლინის ერთ ქართულ შეკრებილობაში, აღტაცებით წამოუძახებია: **აი, ჩემი მეგიო!**

შენმა სიკვდილმა ყველა გაგვანადგურა და დაგვაობლა; კიდევ ერთი ქართული კერა ჩაქრა! იმან კარგად იცოდა თუ რა სჭირდა და რაც მოელოდა, მაგრამ არავის არასოდეს მისი პირიდან წუწუნი და უიმედობა არ გაუგონია. საავადმყოფოში თავისი გმირობით ყველას თავი შეაყვარა. ექიმები თავს იყრიდნენ მისი ლოგინის გარშემო, ხუმრობდენ, ართობდენ და თვითონაც ერთობოდნენ. საერთოდ, თამარას უყვარდა სიცოცხლე, ოჯახი. მის ყვავილებით გავსებულ ბაღს, როგორც პეპელა, ისე თავზე დასტრიალებდა! იყო იშვიათი სტუმართმოყვარე. ჩვენ ყველა შოთა და თამარასთან თავს ვგრძნობდით, როგორც ჩვენს საკუთარ სახლში. ეს იყო მისი ბუნების და დაუშრეტელი სიყვარულის მაჩვენებელი.

ჩვენო ძვირფასო და გაუბედურებულო შოთა! რა უნდა გითხრა? ერთი წლის განმავლობაში შენ, როგორც ლომი ისე შეებრძოლე სიკვდილს, რომ თამარა მისი ბრჭყალებიდან გამოგეგლიჯა. საუბედუროდ სიკვდილი უფრო მაგარი აღმოჩნდა. მთელი ქართული საზოგადოება ძალიან ღრმად განიცდის შენს ტრაგედიას და შენთან ერთად დავსტირით ჩვენს საყვარელ თამარას. მშვიდობით ჩემო ძვირფასო „ირემო“, გემშვიდობები შენი „ლუბუშკი“.

ლუბა აბდუშელი

ღევილი. *48.1983*

*** *** ***

მოსე იმნაიშვილის გარდაცვალება

1983 წლის *5* ნოემბერს *93* წლის ასაკში ქალაქ მიუნხენში გარდაიცვალა **მოსე იმნაიშვილი.** განსვენებული დაიბადა *1890* წელს სოფელ შუხუთში, დღევანდელ ლანჩხუთის რაიონში. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც სოციალისტი დემოკრატი და დიდი ახალგაზრდული ენთუზიაზმით მიიღო მონაწილეობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ დასავლეთ ევროპის განთქმულ უნივერსი-

ტეტებში სასწავლებლად გამოაგზავნა ნიჭიერ ახალგაზრდების დიდი ჯგუფი, მათ შორის იყო მოსე იმნაიშვილიც, რომელიც ბერლინის უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ, როცა *1921* წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ საქართველო დაიპყრო და მოსპო მისი დამოუკიდებლობა, ქართველ სტუდენტების მდგომარეობა შეიცვალა, მათ საჭირო დახმარება აღარ გააჩნდათ. მიუხედავათ ამ სიძნელეებისა, მოსემ მაინც გააგრძელა სწავლა და თანაც შეთავსებით მუშაობდა. ამავე დროს ის, როგორც სხვა ქართველი სტუდენტებიც, ჩაბმული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გაჩაღებულ საქმიანობაშიც. ამ დროს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, მოსე იმნაიშვილს მრავალი წერილი, ესეი და ნარკვევი აქვს გამოქვეყნებული უცხოეთში გამოცემული ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მოსე იმნაიშვილი მუშაობდა ჯერ საბჭოთა კავშირის შემსწავლელ ინსტიტუტში, მიუნხენში, ხოლო შემდეგ რადიო „თავისუფლების" ქართულ რედაქციაში და ამ დროს ის უამრავ წერილებს წერდა ეკონომიურ თუ სხვა საკითხებზე და მათ გადასცემდა მსმენელებს სამშობლოში.

1968 წელს მოსე იმნაიშვილი პენსიაზე გავიდა, ერთხანად საფრანგეთში სოფ. ლევილში ცხოვრობდა, შემდეგ კი საბოლოოდ მიუნხენში დასახლდა და თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობა სიკვდილამდე არ შეუწყვეტია უცხოეთში გამომავალ ჟურნალებში. ხელთ მაქვს, მაგალითად, „კავკასიონში" *1978* წელს გამოქვეყნებული მისი ვრცელი სტატია: **„გერმანია წინად და ახლა"**, სადაც, კაიზერის გერმანიასა და საქართველოს ურთიერთობაზე პირველი მსოფლიო ომის დროს სხვათა შორის ნათქვამია: „ძველი გერმანია წაიქცა, მაგრამ მან ამ წაქცევის პროცესში ფეხზე წამოაყენა და მტრების წინააღმდეგ დაიცვა ძველი კულტურის მქონე რაინდული ქართველი ხალხი. გერმანიის ეს უანგარო დახმარება ქართველი ხალხისთვის დაუვიწყარია, მაგრამ ამ დახმარებით მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლება უდღეური აღმოჩნდა, იგი ჩაახრჩო ჩრდილოეთიდან მოზღვავებულმა წითელმა დივიზიებმა და პატარა საქართველო ისევ გახდა რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის მსხვერპლი; ამჯერად უფრო შეუბრალებელი პოლიტიკის, რაც ქართველ ხალხს გადაგვარებით ემუქრება..."

მოსე იმნაიშვილი დაკრძალული იქნა მიუნხენში. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

კარლო ინასარიძე

*** *** ***

დიკა კედია: მისაბაძი მაგალითი

22 იანვარს ერთი წელი შესრულდა დიკა კედიას გარდაცვალებიდან, კვირას *29* იანვარს პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში, დიდძალი საზოგადოების თანდასწრებით, მოძღვარმა ილიამ პანაშვიდი წირა დიკასი და მამამისის, მიხეილ კედიასი.

დიკა კედიამ ადამიანობის შესანიშნავი თვისებები გამოავლინა უკურნებელ სენთან შერკინების დროს. რა თქმა უნდა: საბოლოოდ უწყალო სიკვდილმა გაიმარჯვა, მაგრამ მან დიკა უკანასკნელ წუთებამდე ვერ დაიმორჩილა, ვერ დაიმონა, მჩქეფარე სიცოცხლეს ვერა და ვერ მოსწყვიტა. დიკას უფარდა სიცოცხლე მღელვარე და აქტიური, სავსე მისი ახლობელი ადამიანების და ბუნების სიფაქიზეით. მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცოდა გარდაუვალ ბედისწერის მკაცრი განაჩენი, ის არასოდეს სულით არ დაცემულ; ვითომცდა არაფერიაო ის საქართველოშიც მოგზაურობდა და არც ერთს კულტურულ მანიფესტაციას არ დააკლდებოდა ევროპაში, სადაც ქართველები გამოდიოდენ. ასე შეეხვდი მას უკანასკნელად, *1982* წლის ზაფხულში, ავინიონის თეატრის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ის თავს დასტრიალებდა თბილისის რუსთაველის თეატრის მსახიობებს.

დიკა მეორე შვილი იყო მიხეილ კედიასი და ვალია ფაჩულიასი. იგი მათ შეეძინათ *1932* წელში. ქალბატონ ვალიას უნდა ვუმადლოდეთ თუ დიკა ისეთ მშვენიერ უზადო ქართულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველებდა, მაგრამ მამის ძლიერი პიროვნების გავლენაც იყო უთუოდ, რომ მან უნახავი მამა-პაპების სამშობლო ასე გაითავისა და უსაზღვროდ შეიყვარა.

სწავლის დამთავრების თანავე, *1950*-ანი წლების დამდეგს, დიკა საცხოვრებლად ჟენევაში გადასახლდა. სავარაუდებელია, რომ მას კაღვინის ქალაქისაკენ მამის იქ ყოფნა იზიდავდა, რომელსაც ის მეორე მსოფლიო ომმა დააშორა. სამი ათეული წლის განმავლობაში დიკამ იქ ჟურნალიზმში თავი გამოიჩინა სხვადასხვა დაწესებულებებში, *1971 -75* წწ. „ჟურნალ დე ჟენევის“ შანსელერია და სამდივნო ებარა, ხოლო *1976* წლიდან იყო ჟენევის უნივერსიტეტის პრესის წარმომადგენელი. დიკა აწყობდა საინფორმაციო კონფერენციებს და სცემდა ბეჭდვით ორგანოს „კარნე დე ლ'უნივერსიტეს.“ ტრიალობდა რა ჟენევის ნაღებ ინტელიგენციაში, დიკამ თავი შეაყვარა ყველას, როგორც ნამდვილმა შვილმა ჰელვეციებისამ ისე, რომ მისი დამწუხრებული კოლეგები თავიანთ ნეკროლოგებში ერთხმად სწერენ: „ოცდაათი წლის განმავლობაში დიკა კედია ისე შეესისხლხორცა ჟურნალიზმსა და მის დედობილ ქალაქს, რომ მის უცხოურ წარმოშობაზე აღარც კი ვიფიქრებდით, რომ თვით იგი არ დარჩენილიყო ბოლომდე მისი ასე ერთგული.“ ახლო თანამშრომლები დიკას ახასიათებენ, როგორც მტკიცე ხასიათის პიროვნებას, გამოკვეთილი ეროვნული თვისებებით: ენერგიული, ერთგული და პირდაპირი, ფიცხი, მაგრამ კეთილი და სამართლიანი, საქმის მცოდნე და ბეჯითი. ყველა ერთთავად ხაზს უსვამს მის ღრმა ქართულ პატრიოტიზმს. სწორედ ეს უკანასკნელი თვისება მისი ბუნების, დიკას სამაგალითოდ ხდის ყველა უცხოეთში დაბადებულ და აღზრდილ ქართველისათვის. თ. ტ.

****

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი დ ა წ ი გ ნ ე ბ ი

ჟაკ დუეს სიმღერის 35 წლისთავი

35 წლის სასიმღერო კარიერის შესრულებასთან დაკავშირებით მომავალი წლის გაზაფხულზე **ჟაკ დუემ** ორ თვიანი სიმღერის კონცერტები ჩაატარა მისი პარიზელი თაყვანისმცემლებისათვის. კონცერტები დიდი წარმატებით ჩატარდა ბულონის ტყეში „ბავშვობისა და ახალგაზრდობის ბაღის“ თეატრში. ჟაკ დუეს სიმღერისადმი ინტერესი ოდნავადაც არ შენელებულა ამ *35* წლის განმავლობაში, მისი რეპერტუარი ვრცელი და მრავალფეროვანია, მას ფირზე ჩაწერილი აქვს და წარმატებით იყენებს **250**-ზე მეტი სიმღერა, რომელთაგან ასი ლექსი მისი საკუთარია, დანარჩენი კი სახელგანთქმულ ავტორებისა მე-*13* საუკუნიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. ჟაკ დუეს რეპერტუარში ყოფილან ცნობილი პოეტები, როგორც: **ვილონი, რონსარი, მარო, რიმბო, რილკე, არაგონი, კოკტო** და სხვა. იქნებ ამის გამოც იყოს, რომ კრიტიკა ჟაკ დუეზე სიყვარულით ამბობს: „თანამედროვეობის ტრუბადურიაო.“ ჟაკ დუე პოეტიც გახლავთ, კომპოზიტორიც, მომღერალიც და ამავე დროს მგრძნობიერი გიტარისტიც.

1982 წლიდან ჟაკ დუეს აბარია ბავშვობის და ახალგაზრდობის თეატრის დირექცია, სადაც მის შემდეგ ტარდება საინტერესო ექსპერიმენტები „სპექტაკლი-ანიმაცია“, სადაც ბავშვები თვით მონაწილეობენ ჟაკ დუესა და ეთერი ფაღავას ხელმძღვანელობით. პარიზის გარედ მცხოვრებმა ქართველებმა იქნებ ყველამ არ იცოდეს, რომ ჟაკ დუე ჩვენი ეთერი ფაღავას მეუღლეა და, რომ ხელოვნებაშიც ისინი ერთად მოღვაწეობენ: ჟაკ დუე ბავშვებს სიმღერასა და მუსიკას უნერგავს, ეთერი ფაღავა კი ცეკვას. ეს მათი თანამშრომლობა სასურველ ნაყოფსაც იღებს და, როგორც საფრანგეთში, ისე მსოფლიოშიც სულ მზარდ აღიარებას იმსახურებს. ასე მაგალითად, *1982* წლის აგვისტოში სტოკჰოლმში ჩატარდა მსოფლიო ორგანიზმ „*D.A.C.I.*“-ს (*DANCE AND CHILD INTERNATIONAL*) უკანასკნელი კონგრესი, რომელმაც, დააფასა რა ე. ფაღავას ღვაწლი ბავშვთა შორის ცეკვის დანერგვის საქმეში, ის აირჩია საფრანგეთის სექციის თავმჯდომარედ, მაშინ, როცა გენერალურ სამდივნოს განაგებს ჟაკ დუე. ისევ დაგვრჩენია, დღეგრძელობა და სულ მეტი და მეტი წარმატებები ვუსურვოთ ორივე ცოლქმარს მათ მოღვაწეობაში.

ეთერი წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნების თარო

გასული წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო ახალი წიგნების გამოცემის მხრივ და ზოგიერთ მათგანზე საჭიროა ჩვენი მკითხველების ყურადღება გავამახვილოთ. ვინაიდან მიმავალი წელი გეორგიევსკის ხელშეკრულების **200** წლისთავი იყო, პირველ რიგში სწორედ ის ნაწარმოებები უნდა მოვიხსენიოთ, რომლებსაც კავშირი აქვთ მასთან.

1. სალომე და ნიკო გუგუშვილის, დარეჯან და ოთარ ზურაბიშვილის თანაავტორობით, **1983** წლის ივნისში, „კო სე-ეო?“-ს ენციკლოპედურ კოლექციაში, რომელიც დიდი ტირაჟით ცემს უმთავრესად სტუდენტებისათვის, გამოიცა ფრანგულად **ლა ეეორეი** (საქართველო). პატარა ფორმატის წიგნი **125** გვერდს შეიცავს, მასში, რა თქმა უნდა, ძალიან შეკუმშულად გადმოცემულია ქართველი ხალხის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ისტორია დასაბამიდან ჩვენს დრომდე. ავტორებს შედარებით უფრო მეტი ადგილი დაუთმიათ სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის და ჩვენ გფიქრობთ, რომ მან საკმარისად ნათელი და სწორი წარმოდგენა უნდა შეუქმნას მკითხველებს: გეორგიევსკის ხელშეკრულებაზე, ცარიზმისაგან საქართველოს ანექსიაზე, გარუსების პოლიტიკაზე, დამოუკიდებლობის აღდგენაზე და რუსეთის მიერ, ამჯერად საბჭოთა, ხელახალ დაპყრობაზე. ახალგაზრდა ავტორებს ვრცელი და მრავალმხრივი ლიტერატურა გადაუმუშავებიათ და ოსტატურად დაუწნეხიათ. მცირე შეცდომები შემთხვევით არიან გაპარულნი და წიგნის მიზნებს სრულიადაც არ ვნებენ.

შესავალში, სხვათა შორის, ნათქვამია: საქართველოს მართალია თავისი არსებობის გრძელ მანძილზე არა ერთი ბრძოლა წაუგია და ტერიტორია დაუკარგავს, **მაგრამ** მისი არსებობის ფელაზე შავბნელ საბედისწერო მომენტშიაც არასოდეს არ დაუკარგავს იმედი და ბრძოლის ნებისყოფა. ოცდაექვსჯერ გადამწვარი და დანგრეული მისი დედაქალაქი თბილისი ცოცხალი მოწმეა ამ ერის აღმშენებლობის უნარისა და გაუტეხელი ნებისყოფისაო“, რაზედაც არ შეიძლება მკითხველი არ დაეთანხმოს. ეს ერთი და სხვა მრავალი, ახალგაზრდებო!

2. პროფესორ გიორგი შარაშენიძემ 1983 წ. **23** და **24** ოქტომბრის ფელაზე გავლენიან ფრანგულ გაზეთ „ლე მონდ“-ში გამოაქვეყნა საკმაოდ გრძელი სტატია სათაურით: „ილ ი ა **200 ან**“(ორასი წელია მას შემდეგ), რომელშიც სხარტად ჩამოყალიბებულია მთავარი ეტაპები უკანასკნელი ორასი წლის ისტორიიდან. ავტორი მკითხველებს სთავაზობს პროფესორ ჟორჟ დიუმეზილის შეხედულებას ქართული ენისა და კულტურის თავისებურებაზე, რაც, მიუხედავად უთვალავი ხიფათებისა, ქართველმა ხალხმა შეძლო შეენარჩუნებია სახელმწიფოსა და ბაგრატიონების დინასტიის შენარჩუნებით; ერთიც და მეორეც რუსებმა მოუსპეს და მით გადაშენების საფრთხე შეუქმნესო.

განიხილავს რა საბჭოთა რუსეთის მიერაც საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების უმიზეზო დარღვევას და ქვეყნის ხელახალ დაპყრობას, გ. შარაშიძე სვამს კითხვას თუ რა მოსაზრებებით ამართლებს დღეს საბჭოთა რეჟიმი მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას, ჩამოთვლის ოფიციალური პროპაგანდის მიერ აღიარებულ რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების პროგრესიულობის მოსაზრებებს, რომელთაც ადვილად აბათილებს და განსაკუთრებით ირონიულია იმ თეზისის მიმართ, რომლის მიხედვითაც: რუსეთის მიერ საქართველოს შეერთება პროგრესული იყო საქართველოსთვის, რადგანაც ამით ქართველ ხალხს საშუალება მიეცა მონაწილეობა მიეღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. მაშასადამე, ამბობს ავტორი, საბჭოთა საქართველოს წინადადებას აძლევენ იზეიმოს მეფის რუსეთის მიერ მისი ანექსიის ორასი წლისთავი, ისტორიის ისეთი გაგების საფუძველზე, რომელიც ბედისწერას აღიარებს. ეს დოქტრინა უფრო ახლოა ბოსუესთან ვიდრე მარქსთან და, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მას ვერ მივიღებთო.

გიორგი შარაშიძის სტატიის შინაარსი, დროსა და ადგილს შერჩევა უნაკლოდ მიგვაჩნია.

3. „ბედი ქართლისას რედაქტორ–გამომცემელმა“ ბ. კალისტრატე სალიამ თავისი ფრანგულ ენაზე გამოცემული **„ქართველი ერის ისტორია“**, გასულ წელს გამოსცა ინგლისურად. თარგმანი იშვიათადაა შესრულებული ცნობილი ქართველოლოგის, **კათარინ ვივიანის** (აშტონის) მიერ. წიგნი საუცხო ქაღალდზეა დაბეჭდილი, მდიდრულად და დიდი გემოვნებით გაფორმებულ-დასურათებული.

4. იმავე მიმავალ წელში გამოვიდა კრებული **„ბედი ქართლისა ქართველოლოგიის“ 51** ნომერი, რომლის დიდი ნაწილი მიძღვნილია **ათონის ივერიელთა ლავრის** ათასი წლისთავისადმი. სხვათა შორის დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე **ძველი ქართული ხელოვნების საუნჯის** გამოფენას პარიზში **1982** წელში, მის შესახებ გამოძახილებს, რომლებსაც აგვირგვინებს ექვსი ათეული ექსპონატის ფოტო-სურათი.

ბარემ აქვე დავუკავშირებთ ცნობას იმის შესახებ, რომ ბატონი კალისტრატე სალია არჩეულია საქართველოს ს.ს.რ. მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. პირველად ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა ამოვიკითხეთ 22 ოქტომბრის „კომუნისტში“, ხოლო შემდეგ 11 ნოემბრის „ლიტერატურული საქართველო“-ში, მწერალ **გრიგოლ აბაშიძის** სტატიაში, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ თავის საპატიო წევრად ერთხმად აირჩია საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი პროფესორი კალისტრატე(კალე) საღია.

ამ აქტით ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრმა ოფიციალურად აღიარა ის დიდი ღვაწლი და ამაგი, რომელიც კ. საღიამ დასდო მშობლიურ მეცნიერებას, ღირსეულად დააფასა ის დიდი შრომა, რომელსაც კ. საღია ეწევა ქართული კულტურის პროპაგანდისათვის...“

5. **ბ. ჯამლეთ გვაზავამ** საკუთარი ხარჯითა და გარჯით ხელახლად გამოსცა ვეფხისტყაოსნის გიორგი გვაზავასეული ფრანგული პროზაული თარგმანი. როგორც ბოლოსიტყვაობაში აღუნიშნავს ბ. ჯამლეთს, აუ განსვენებულ მამამისს ვეფხისტყაოსნის ეს თარგმანი უკვე მზად ჰქონებია ოცდაათიანი წლების დამდეგს, მაგრამ უსახსრობის გამო გამოცემა მხოლოდ 1937 წელში მოხერხებულა საფრანგეთის საგარეო სამინისტროს დაფინანსებით, რაც მიღწეულა ქ. **ანი მარსელ პანის** შუამავლობით. მადლიერი გ. გვაზავა დათანხმებულა რუსთაველის კომიტეტის წინადადებას, რომ ქ. პანი გამოცხადებული ყოფილიყო, როგორც თანამთარგმნელი და ასეც გამოცემულა ეს პირველი გამოცემა. ამჯერად ბ. ჯამლეთს გაუძღვებია ქ. პანი იმ მოტივით, რომ მან ქართული არც კი იცოდაო და თანაც ეს თანაავტორობა ვნებს ნაშრომის რეპუტაციასო. ჩემთვის ცხადია, რომ თარგმანის მთავარი დამსახურებაც და პასუხისმგებლობაც განსვენებულ გიორგი გვაზავას ეკუთვნის, მაგრამ მე ვერ ვიტყვი ჰქონდა თუ არა უფლება ბ. ჯამლეთ გვაზავას ასე თვითნებურად ამოეშალა ქ. ანი მარსელ პანი.

წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, დართული აქვს სერგო ქობულაძის დიდებული ილუსტრაციები, გემოვნებითაა გაფორმებული, თანაც სადად. ბოლოში დართული აქვს ვეფხისტყაოსნის გ. გვაზავას მიერ დატოვებული და დალაგებული წინასიტყვაობის ქართული ტექსტი, სარჩევის თავში კი ბატონი გიორგის სტუდენტობის დროინდელი სურათი. ყველაფერი კარგია და კარგი საჩუქარია რუსთველოლოგიისა და საერთოდ ქართული კულტურისათვის.

6. **ელენ კარერ დანკოსის** ახალი წიგნი „**გრან ფერერ**“ (დიდი ძმა), რომელიც ამჟამად საფრანგეთში დიდი პოპულიარობით სარგებლობს, სულ სხვაა, ვიდრე ჩვენს მიერ აქამდე ჩამოთვლილები. იგი ეხება დიდ საერთაშორისო პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა რეჟიმი აწარმოებს ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში. როგორც კი ომის სასწორმა მის მხარეზე დაიწყო გადახრა, კრემლმა შეუცდომლად გამოიყენა მისი გეოგრაფიული მდგომარეობა და თანდათან, როგორც კი მისი ჯარები წინ მიიწევდენ, ისინი ახლენდენ ქვეყნების გასაბჭოებას ისე, რომ ამერიკას და ინგლისს კიდევაც რომ მოენდომებინათ წინააღმდეგობის გაწევა, უძლურნი იყვენ. თავდაპირველად ამ დაპყრობებს სტალინი ამართლებდა თავდაცვითი სარტყლის შექმნის მოტივით, რომელიც ნელ-ნელა კომუნისტურ ბლოკად გადაიქცა საბჭოთა მთავრობის ნება-სურვილით. ეს ბლოკი სტატიკური არ ყოფილა, არამედ მუდმივ დუღილშია; ადგილი აქვს წმენდებს, რომელთა შედეგადაც ნაკლებად სანდო ელემენტებს უფრო სანდო და მორჩილ ელემენტებით ცვლიან. ადგილი ჰქონდა აჯანყებებს თითქმის ყველა ქვეყნებში, გარდა ბულგარეთისა, რომელთა ჩასაქრობად კრემლმა სულ სხვადასხვა გზებს მიმართა, ზოგი ტანკებით გასრისა და ზოგთან დათმობებით მიაღწია კრიზისის განელებას. ყველა ამ კრიზისების შემდეგ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ბლოკის სახელმწიფოებს შორის იცვლებოდა. თუ სტალინის დროს ეს ურთიერთობა მხოლოდ შიშველ სამხედრო ძალასა და პოლიციის შიშს გამოხატავდა, ბრეჟნევის ბატონობის უკანასკნელ წლებში ამ ურთიერთობამ პოლიტიკურ--კანონმდებლობითი ხასიათი მიიღო.

ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ძალის თუ შეგონების საშუალებებით საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მიმართული იყო მუდმივად ორი მიმართულებით: ერთი მხრით, საბჭოთა კავშირის შიგნით რუსი ხალხის უფროს ძმად გამოცხადება და მის ირგვლივ ერთიანი ურღვევი საბჭოთა სახელმწიფოს ჩაკემენტება, მეორე მხრით, კომუნისტურ ბლოკში საბჭოთა კავშირის დიდ ძმად აღიარება და მის ირგვლივ დაუმსხვრეველი სოციალისტური სამყაროს ფორმაცია, რომელიც ნელ-ნელა მსოფლიოზე უნდა გავრცელდეს. ასეთია დაახლოებით მსჯელობა და დასკვნა ამ წიგნის. მას შეიძლება დაეთანხმოთ, ან არ დაეთანხმოთ, მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ამ წიგნის კითხვით თქვენი ცოდნა კომუნისტური სამყაროს შესახებ ბევრი ახალი მასალით ივსება და მდიდრდება.

7. „ფიქრები საქართველოზე“

არც ქართული ენა ყოფილა უგულებელყოფილი 1983 წელში. წლის ბოლოს, სწორედ საახალწლო ნობათად მოგვიძღვნა ჟურნალისტმა და მწერალმა **მინდია ლაშაურმა**, იგივე **ილია კუპუ-**

ხიძე, მის მიერ საკუთარი ხელებით აწყობილი და გამოცემული რჩეული მოთხრობებისა და ლექსების წიგნი, სათაურით: **„ფიქრები საქართველოზე“**. ჯერ კიდევ დრო არ გვეჯო საფუძვლიანად გავცნობოდით, რომ ობიექტური ავ-კარგი გვეთქვა, მაგრამ ერთი თვალის გადავლებითაც ცხადია, რომ ეს წიგნი ჩვენი დროის პატარა მატიანეა, რომელშიც მხატვრულად მოთხრობილია კოლექტივიზაციაზე, წმენდებზე, რეპრესიებზე სამშობლოში; ომზე, ტყეობაზე და შემდეგ უსამშობლობაზე...მინდია ღაშაური არც შორეულ წარსულის თემებს ივიწყებს, **„ღაზთა მეფე გუბაზ მეორე“**, მე მგონია, ჯელაზე უკეთესი მშვენიერი ქართულით დაწერილი ნაწარმოებია. ამ წიგნში ავტორს შეუტანია *24* პროზაული ნაწარმოები და *8* ლექსი. ლექსებიდან მე **„ურზულა ქართულ გერს რომ ხატავდა“** ვირჩიე, რომელსაც აქვე ვთავაზობ მკითხველს:

„ვიცი: გიტაცებს ტყეში მსრბოლი მკრთალი ალები,
ო, ბესიკივით საქართველოს ტრფიალით დნები,
ერთხელაც არის დაგმშვენდება იალაღები
და ჩვენი ქვეყნის სიყვარულით მოინათლება.

შენი თვალები ტევტონური ჯიშის საფერი,
ვით დაეუფლა ბახტრიონით მოვარდნილ მეწყერს,
მკერდს რომ გიმშვენებს, მიხარია დროშა სამფერი
და ცრემლნარევი სიყვარულით გული რომ გიძგერს. (ბერენგშვენდი. *1949*)

მოდით, მინდია ღაშაურს ერთად ვუსურვოთ: დიდხანს მარჯით ემარჯვოს მარჯვენაში კალამი.

8. ასევე აღსანიშნავია ბ. ალექსანდრე სულხანიშვილის თვითგამოცემა **„შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში *1924* წლის ნოემბრიდან“** რომელშაც საფრანგეთში ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეებში გულისწყრომა გამოიწვია. ბ. ალექსანდრეს მოგონებები მართლაც არ არიან სასიამოვნო მოსასმენი ემიგრაციის ჟურგისათვის. სამწუხაროზე სამწუხაროა, რომ საბჭოების დევნას გამოქცეული და უცხო მიწაზე თავშეფარებული ჩვენი მამულიშვილები თავიანთ ენერგიას და ხშირად სიცოცხლესაც ურთიერთშორის მტრობაში ხარჯავდენ.

მე პირადად არ ვარ წინააღმდეგი ამ მოგონებების გამოქვეყნების. ახალმა თაობამ მარტო კარგი ამბებიდან კი არ უნდა ისწავლოს, არამედ აგრეთვე დასაგმობებიდანაც ის, რაც მან არ უნდა გააკეთოს. ბ. ალექსანდრეს აღბათ ნახევარი საუკუნეა, რაც ეს ბოლმა არ ასვენებს და ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ეთქვა? რაც შეეხება სიმართლეს,, ბ. ალ. სულხანიშვილი განხეთქილების ერთი მხარის მოთავეა და ამიტომ მიუდგომელობა არ მოეთხოვება. მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ თავისი ვერსია თქვან, ხოლო მიუდგომელი მკითხველი მსჯავრს გამოიტანს.

აქვე ვბეჭდავთ ჩვენი უხუცესი თანამემამულის, ბ. **ქრისტეფორე იმნაიშვილის** განცხადებას ამ მოგონებების შესახებ, რომლის გამოქვეყნებასაც გვთხოვს.

„ალექსანდრე სულხანიშვილის (სულხან-ავი) წიგნი არავითარ სიმართლეს არ შეიცავს, სულ ჯელაფერი სიყალბეა და მოსკოვისთვის სასარგებლო. მე კარგად ვიცი ოდენკურის ისტორია. მე პირადათ ჯელასთან კარგი მეგობრობა მქონდა. იყო ოდენკურში ორი პიროვნება: **სერგო მაისურაძე** და **ალექსანდრე სულხანიშვილი**, რომლებიც მუდამ ესხმოდენ თავს ს.დ. პარტიის წევრებს და ეძებდნენ მათთან ჩხუბს. ამ ორმა პიროვნებამ მოახდინა თავდასხმა ს.დ.პ. წევრებზე, რომლის დროს მოკვდა ერთი მოხუცი, **ეფრემ ქარცივაძე** და ერთი ახალგაზრდა **დოლიძე**, სასტიკად დასახიჩრდა **მირიან ბარამიძე**.

ალ. სულხანიშვილი მართალი არ არის როცა თავის მოგონებებში წერს ვითომც ს.დ. პარტიას ავთანდილ ურუშაძე, მირიან მელუა, მირიან ბარამიძე და ქრისტეფორე იმნაიშვილი დაენიშნოს ტერორისტებად და თეოფილე მუხაშავრია მათ მეთაურად. ჯონჯი დადიანი ჯელას უფარდა და ჩემთან მუდამ კარგი მეგობრობა ჰქონდა. ის არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა, იყო კარგი პატრიოტი

ქართველი. აქვე გამოქვეყნებულ სურათში, რომელიც 1926 წ. გადაღებული, ჯონჯი დადიანის გვერდით ყველა სოც. დემ. პარტიის წევრები ვართ. თქმა იმისა, რომ ჩვენ ჯ. დადიანის მოკვლა გვინდოდა, ეს ბ. სულხანიშვილის ეჭვებით შეპყრობილი გონების ნაყოფია.

ქრისტეფორე იმნაიშვილი

*** *** ***

წიგნების ეს ჩვენი მიმოხილვა უნდა დავამთავროთ კარლო ინასარიძის ნაწარმოებებით. ის განსაკუთრებით ხელხვავრიელი იყო მიმავალ წელში, ჩამოთვალოთ ზოგიერთი: „მესამე დასი—მესამე გზა?“, „ჯადოსნური სამკუთხედი“, „ასლიდან აღეგორიამდე“, „თერგ—დაღეული ილია“ „ლუთერი და ... საქართველო“ დ.ა.შ. აქ ჩამოთვლილი ნაწარმოებები სულ სხვადასხვა სფეროებს ეკუთვნიან. მაგ. „ასლიდან აღეგორიამდე“ პოეზიასა და მხატვრობას, საერთოდ კი ხელოვნების საკითხებს ეხილავს; „ჯადოსნური სამკუთხედი“ —რეჟისორ აბულაძის ფილმ „ნატვრის ხის“ შთაბეჭდილებებზე საერთოდ კინოხელოვნების საკითხებს; „თარგ—დაღეული ილია“, როგორც სათაურიც უჩვენებს, არჩევს ილია ჭავჭავაძის ადგილს ჩვენს ეროვნულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ისტორიაში, „ლუთერი და საქართველო“ სწორედ დროული და კარგი ნარკვევია დიდი გერმანელი რეფორმატორის ხუთასი წლისთავზე. ყველა ჩამოთვლილ ნაწარმოებებში მკითხველი უხვად შეხვდება ორიგინალურ აზრებს და თუ ყველა არ იქნება მისაღები, ყოველ შემთხვევაში ყველა ჩააფიქრებს და ესაა მთავარი.

მე განგებ შემოვინახე „მესამე დასი—მესამე გზა?“ ეს წიგნი დაწერილია საქართველოში სოციალ-დემოკატიული პარტიის ანუ მესამე დასის დაარსების 90 წლისთავთან დაკავშირებით, მაგრამ ის როდი კმაყოფილდება ისტორიით, არამედ მომავლისათვისაც გვთავაზობს, როგორც სათაურშიაც იგულისხმება, სავალ გზას და ეს არა მარტო ქართველებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც. კ. ინასარიძე გვეუბნება, რომ კაპიტალისტური წესწყობილები თავს ვერ ართმევენ უმუშევრობას, დიქტატორული ანუ საბჭოური სოციალიზმი ახშობს თავისუფლებას და ვერც კუჭს აკმაყოფილებს, ხოლო მესამე დასის პროგრამა, რომელიც ნოე ჟორდანიამ შეადგინა და ჩამოყალიბებულია ფორმულით: „ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა“ ის ნატვრის თვალია, რომელსაც შეუძლია კაცობრიობა მიიყვანოს სოციალიზმის აღთქმულ ქვეყანაშიო. მე ვფიქრობ, რომ ასეთი განცხადება არაა სერიოზული. მას შემდეგ, რაც 1921 წელში მოსკოვმა დაგვიპყრო და ჩვენში სოციალ-დემოკრატიული იდეების პრაქტიკული მიჯნების საშუალებები მოგვისპო, მსოფლიოს ბევრ თავისუფალ ქვეყნებში ეს ცდები მიმდინარეობდენ და დღესაც მიმდინარეობენ. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია წარსულში დავასახელოთ სკანდინავიის ქვეყნები, ახლო წარსულში გერმანიის ფ. რესპუბლიკა და ამჟამად: საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი. ქართველმა სოციალისტებმა უკეთესია მათზე აიღონ მაგალითი, ვიდრე იძახონ: ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადიო.

*** *** *** ***

სხვადასხვა ცნობები

—10 ნოემბერს 61 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა „გორდელას“ და „ჩრდილოეთის დედოფალი“-ს სახელგანთქმული კომპოზიტორი **დავით თორაძე.**

*** *** ***

—23 ნოემბერს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული კულტურის დიდი მოამაგე

პავლე ინგოროყვა.

*** *** ***

—ს.ს.რ.კ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და მშვიდობის დასაცავად პატრიოტული მოღვაწეობისათვის“ „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით იქნა დაჯილდოებული საშობაოდ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი **ილია მეორე.**

*** *** ***

—15 დეკემბრიდან კოლბინი განთავისუფლებულია საქართველოდან. მის ადგილას კრემლმა დანიშნა ისევ რუსი **ბ.ვ. ნიკოლსკი.** ამერკავკასიის ჯარების სარდლად დანიშნულია ვ.მ. არხიპოვი. საქ. სსრ კულტურის მინისტრად ოთარ თაქთაქიშვილის მაგივრად თეიმურაზ ბადურაშვილი. შეცვლილია ბევრი სხვა მაღალი თანამდებობის პირი, აღბათ ანდროპოვის ცოცხით.

Editeur: G. Tsereteli; 8, Rue des Marchais; 75019 Paris; Tel. 607 -08 -14

Edition hors commerse